

კახეპირ ფილია

რომის აღმოსავლური პოლიტიკა და
ცალკეული „სამაცორის“ ნარმოების
პოლიტიკი (ახ.წ. II ს.)





კახაბერ ჟოვია

რომის აღმოსავლური პოლიტიკა და
ცალკეული „საგეზოების“ დარმოშვება
გოლგეთში (ახ. ვ. წ ს.)

КАХАБЕР ПИПИЯ

ВОСТОЧНАЯ ПОЛИТИКА РИМА И ВОЗНИ-
КНОВЕНИЕ ОТДЕЛЬНЫХ «ЦАРСТВ» НА
ТЕРРИТОРИИ КОЛХИДЫ (П. В. Н. Э.)

КАХАБЕР ПИПИА

THE EASTERN POLICY OF ROME AND CREA-
TING OF SEPARATE “KINGDOMS” IN
COLCHIS (2-nd CENTURY A.D.)



გამომცემლობა „ენიანსალი“
თბილისი • Тбилиси • Tbilisi
2012

ნაშრომში, რომის საერთო-აღმოსავლური პოლიტიკის კონტექტში, შესწავლილია III. დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების წარმოქმნის საკითხი. მასში ახლებურადაა გააზრებული მაკრონ-ჰენიონების, ლაზების, აფხაზების, აბაზებისა და სანიგების „სამეფოების“ წარმოქმნის მიზნები, რომის საგარეო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა ამ პროცესში.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნოდარ ლომოური

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი ნოდარ ბერულავა

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული
პროფესორი ბეგუნ ხორავა

© ქ. ფიჭია, 2012

გამომცემლობა „ენიანსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. 5335ვაჟავაშვილი გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-888-7

შ ე ს ა ვ ა ღ ი თ

აღმოსავლეთ შევიზღვისპირეთი, ისტორიული კოლხეთი ოდითგანვე მსოფლიო კულტურულ-პოლიტიკური პროცესების მონაწილეა. ევრაზიის უნიკალური ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის ევროპისაკენ მოქცეულ ნაწილში მდებარეობის გამო, კოლხეთი მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარესამყაროსთან, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებას. თუმცა, იგივე ფაქტორი გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში ხშირად ქვეყნის სრული პოლიტიკური კოლაფისისა და მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა მიერ მისი დაპყრობის მიზეზიც ხდებოდა. ასე რომ, ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა ჩევნი ქვეყნის ფუნქციაცა და ისტორიული ბედიც. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული პოლიტიკური სამყარო სხვადასხვა იმპერიათა შორის ბუფერულ ზონას ან მათ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

ძვ.წ. I ს. 60-იან წლებშიც კოლხეთი წინა აზიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების არეალში მოექცა და იგი, ისევე, როგორც მთელი ამიერკავკასია, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ რომის პოლიტიკურ სისტემაში იქნა ჩართული. ამ დროიდან მახლობელ აღმოსავლეთში საფუძველი ეყრება ახალ საერთაშორისო-პოლიტიკურ წესრიგს – სამხედრო ძალით განმტკიცებულ „რომაულ რეჟიმს“, ხოლო რომის აღმოსავლური პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე რევიონის კულტურულ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრულ ფაქტორად იქცა.

უცხო ქვეყნებთან და ცივილიზაციებთან პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ურთიერთობათა ფართო სპექტრში კი, საქართველოს ისტორიული კავშირულობის ერთ-ერთი



მთავარი პლასტის, რომაულ-კოლხური კონტაქტების შენწყალთან
მათი არსებობის ნებისმიერ ეტაპზე, რამდენიმე ფაქტორის გამო
განსაკუთრებით აქტუალურია. ჯერ ერთი, რომაულ სამყაროსთან
ნეთსაკუნძოვანი ურთიერთობის მანძილზე, ძვ.წ. I – ახ.წ. IV
საუკუნებში, კოლხეთმა ისტორიული განვითარების რამდენიმე
ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპი გაიარა. მთელი ამ ხანგრძლივი პე-
რიოდის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე
პროცესებში რომი თუ წარმმართველს არა, ყოველ შემთხვევაში,
გარკვეულ როლს მაინც ასრულებდა. ამდენად, რომთან კონტაქ-
ტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია კოლხეთის ისტ-
ორიის სრულყოფილი მეცნიერული შესწავლა. გარდა ამისა, უკა-
ნასკნელ ხანებში აღნიშნულ პრობლემატიკაზე მუშაობამ მეცნიე-
რულთან ერთად გარკვეულწილად პოლიტიკური დატვირთვაც
მიიღო. დღვევანდელ რეალობაში, როცა საქართველო ფაქტობრი-
ვად მთელ თავის სახელმწიფოებრივ პერსპექტივას დასავლეთს
უკავშირებს, თანამედროვე ევროპული ცივილიზაციის საფუძვლ-
ად მიჩნეულ ანტიკურ რომთან ქართული პოლიტიკური ერთეუ-
ლების ურთიერთობის შესწავლა, ცდება წმინდა შემეცნებით ჩარ-
ჩოებს და გარკვეულწილად პოლიტიკურ მნიშვნელობასაც იძენს,
რადგანაც სწორედ ამ გზით შეიძლება წარმოვაჩინოთ ჩვენი მდი-
დარი ისტორიული მემკვიდრეობა, საქართველოს საერთაშორი-
სო პოტენციალი, მისი როლი და მნიშვნელობა ევროპულ, თუ
მსოფლიო ისტორიულ პროცესებში. და ბოლოს, რომისა და აღმ-
ოსავლეთ შავიზღვისპირეთის, როგორც სასაზღვრო-პერიფერი-
ული რეგიონის ურთიერთობების კვლევა ინტერესმოქლებული
არაა საკუთრივ რომის ისტორიის თვალსაზრისითაც, რამდენად-
აც კოლხეთთან ურთიერთობა რომის ორიენტალური პოლიტი-
კის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამის-
ად, ამ ურთიერთობის შესწავლა საშუალებას იძლევა დაზუსტებე-
ულ იქნეს რომის აღმოსავლური პოლიტიკის ცალკეული ტენდე-
ნციები, რომაული დაპლომატიის თავისებურებები კონკრეტულ
რეგიონთან მიმართებაში.



რომაულ-ქართული მრავალპლასტიკი ურთიერთობების შემსრულებელი პრობლემები დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ფურადღებას და მათი ნაწილი სრულყოფილადაცაა შესწავლილი. მაგრამ, ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საკითხი, რომელიც უფრო ღრმად შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს. პრობლემათა ასეთ წრეს მიეკუთვნება II ს. დასაწყისში რომის პროვინციულ სისტემაში ჩართული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების – მაკრონ-ჰენიონების, ლაზების, აფსილების, აბაზებისა და სანიგების „სამეფოების“ წარმოქმნის საკითხი, რომის აღმოსავლური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა ამ პროცესში.

ცალკეული „სამეფოების“ წარმოქმნა კოლხეთის ისტორიაში საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა. ამიტომ, ყველა მკვლევარი, ვისაც კი უმუშავია გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, აუცილებლად ეხებოდა ამ საკითხსაც. თავის დროზე ამ პრობლემაზე ყურადღება გააძლიერდა ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, გ. მელიქიშვილმა, ნ. ლომოურმა, რომლებმაც ამ „სამეფოთა“ წარმოქმნის მიზეზების შესახებ საკუთარი თვალსაზრისი გამოიტქვეს. შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული „სამეფოების“ წარმოქმნის შესახებ რამდენიმე ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება არსებობს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის ასეთი საკვანძო საკითხის შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობაა, იგი სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა.¹

¹ ქართულ-რომაულ ურთიერთობებს ჩვენც რამდენიმე ხაშრომი მოვუძღვენით, სადაც საკმაოდ ვრცლად შევხევთ II ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს (იხ.: ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. (პოლიტიკური ურთიერთობები). თბ., 2005, გვ. 94-126; ქ. ფიფია. ტრაიანებს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 28-42; ქ. ფიფია. რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ახ.წ. IIIს.). თბ., 2006, გვ. 7-13). გარდა ამისა, სპეციალურად



სწორედ ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორების ძრავული რიცხვის წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომი. მასში, ისტორიული ფილია პირველად, მონოგრაფიულადაა შესწავლილი II ს. დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებების წარმოქმნის საკითხი. ნაშრომში, ანტიკური და მოგვიანო პერიოდის წყაროების თვისობრივად განსხვავებული ინტერპრეტაციის საფუძველზე, ახლებურადაა გააზრებული ცალკეული „სამეფოების“ ჩამოყალიბების მიზეზები, რომის აღმოსავლური პოლიტიკის როლი ამ პროცესში; რომის საერთო-აღმოსავლური პოლიტიკის კონტექსტში შესწავლილია კოლხურ-რომაული ურთიერთობის ცალკეული საკითხები.

შევისწავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეული გაერთიანებების ჩამოყალიბების დროისა და მათი რეალური პოლიტიკური სტატუსის საკითხები (კ. ფიფია. რომის მიერ აღმოსავლეთ შევიზდევისაირეთის ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებათა მმართველთათვის „სამეფო ხელისუფლების“ გადაცემის დროის საკითხისათვის. – ხასიერით ძიებანი, III, თბ., 2000, გვ. 60-75; კ. ფიფია. აზხილებისა და აბაზების „სამეფოები“ რომის პოლიტიკურ ხისტემაში ახ.წ. II ს. (ეწ. „აფხაზური სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საკითხისათვის). – ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, IX, თბ., 2007, გვ. 292-312. კლასტრ. კურტა იხ.: www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/afsilebisa-da-afxazebis samef-oebi.html; К. К. Пипия. К вопросу политического статуса объединений апсилов и абазгов. – *Кавказ и Мир*, №1, 2009, გვ. 107-117; К. К. Пипия. «Абхазская государственность» – миф или историческая реальность? – <http://iberiana.wordpress.com /afxazeti/pipia-afxazeti>). მაგრამ ამ გაერთიანებათა ფორმირების მიზანთად მიზეზებზე, კოლხეთში ახალი პოლიტიკური რეალობის შექმნის მთავარ ფაქტორებზე ჩვენ საგანგებოდ არ შევჩერებაულვართ. თუმცა, როგორც უკვე ავდნიშნეთ, ამ პრობლემის შესწავლა უდავოდ საშური საქმეა.

თავი I



აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. I-ას.წ. I საუკუნეებში. კოლხეთი პონტოს სამეფოსა და ომის პროვინციის შემადგენლობაში.

ძვ.წ. VI ს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აქ მოსახლე ტომთა კულტურულ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ჩამოყალიბდა კოლხეთის სახელმწიფო. კოლხეთის სამეფოს საზღვრები, ანტიკურ წყაროთა მონაცემებით, თანამ. გაგრა-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდებოდა.¹ კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბების დროიდანვე მრავალტომიანი ქვეყანა იყო და მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ტომები ყოველთვის ინარჩუნებდნენ გარკვეულ დამოუკიდებლობას. ერთიანი კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ეს ცალკეული ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფები თანდათან ჩამოყალიბდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ე.წ. „სკაპტუხიებად“. ასე რომ „სკაპტუხიები“, წარმოადგენდნენ „ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების წინა ხანაში არსებულ სატომო ორგანიზაციათა საფუძველზე წარმოქმნილ ადმინისტრაციულ ერთეულებს“ და აერთიანებდნენ კოლხეთის სამეფოში შემავალ ცალკეულ ტერიტორიულ-ტომობრივ ჯგუფებს. კოლხეთის სამეფოს ძლიერების ხანაში „სკაპტუხიები“ მეფის ხელისუფლების ხელქვეთ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. თუმცა, ისინი ყოველთვის იჩენდნენ ადმინისტრაციული ერთეულიდან ცალკე სამ-

¹ 6. ლომოური. „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის. – თხუ შრომები. ტ. I-B (138). თბ., 1971, გვ. 19-31; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 236-251.

თავროდ გადაქცევის ტენდენციას.¹

„სკაპტუხთა“ ცენტრიდან ული ტენდენციები, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ძვ.წ. II ს. გაძლიერდა.² სწორედ ძვ.წ. III ს. ბოლოსათვის კოლხეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ამსახველია სტრაბონის (ძვ.წ. 64/63 – ა.წ. 24 წ.) ცნობა: „თუ როგორი სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, ცხადჰყოფენ ამას მითები, რომლებიც მოგვითხრობენ იაზონის ლაშქრობაზე.... და ამაზე უწინ კი ფრიქსეს [ლაშქრობაზე]. ამის შემდეგ კი მემკვიდრე მეფეებმა სკაპტუხთის დაპყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“.³ რადგანაც ამის შემდეგ სტრაბონი უშეალოდ მოგვითხრობს მითრიდატე VI-ის მიერ კოლხეთის დაპყრობაზე, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, აქ დარღვეულია ისტორიული პერსპექტივა და სტრაბონის მიერ აღწერილი მდგომ-

¹ გ. ინაძე. კოლხეთის სამეფოს სკაპტუხიათა საკითხისათვის. — სმამ, 1961, გ. XXVI, №6, გვ. 785-790; გ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოების ხოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი. — მაცნე, ისტორიის..., სერია, 1987, №4, გვ. 45-67; გ. ინაძე. ეგრისისა და ქართლის ურთიერთობისათვის. — მნათობი, 1989, №8, გვ. 156-161; გ. ინაძე ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994, გვ. 73-74. შერ.: ო. ლორთქიფანიძე. იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი? — ქართული სახელმწიფო იურიდიკური სამაცემოსაბჭო. თბ., 2001, გვ. 50; გ. ი. ლორდკიპანიძე. Древняя Колхида. Миф и археология. Тб., 1979, გვ. 56-59; გ. ი. ლორდკიპანიძე. Наследие древней Грузии. Тб., 1989, გვ. 262-263; კ. გამახარია. თანამედროვე აფხაზეთის მიწაწყალი ძველი ეგრისის (კოლხეთის) შემადგენლობაში ძვ.წ. I საუკუნეებში. — ნარკევევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე. თბ., 2007, გვ. 54-55.

² ჩვენი უშეალო კვლევის საგანი, როგორც ნაშრომის სათაურიდანაც ჩანს, ქრონოლოგიურად სულ სხვა ეპოქას მოიცავს. ამიტომ ჩვენ აქ არ შევუდგებით, კოლხეთის სამეფოს ისტორიის დაწვრილებით გადმოცემას და მოკლედ შევეხებით მხოლოდ იმ პროცესებს, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეული „სამეფოების“ ჩამოყალიბება.

³ Strabo, XI, 2, 18; ო. ყაუხესიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957, გვ. 124.

არეობა რეალურად ძვ.წ. II ს. მიეკუთვნება.¹

ამდენად, ძვ.წ. II ს. კოლხეთში კრიზისული ვითარება შეიქმნა. ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, კოლხეთის ცენტრალური ხელისუფლება დასუსტდა და ცალკეულმა „სკეპტურიებმა“ მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას მიაღწიეს. ქვეყნის შიდა-პოლიტიკური სიტუაციის გართულებასთან ერთად, გაუარესდა საგარეო ვითარებაც, რაც საბოლოოდ კოლხეთის სამეფოსათვის სრული კატასტროფით დასრულდა. მძღავრი პოლიტიკური ძვრების შედეგად, რომელიც მოჰყვა მითრიდატე VI ეპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.), ხოლო შემდევ რომაელთა დაპყრობებს წინა აზიაში, კოლხეთმა დიდი ხნით დაკარგა დამოუკიდებლობა. იგი ჯერ ძვ.წ. 105-90 წწ. მითრიდატეს ვრცელი სამეფოს შემაღებლობაში იქნა ჩართული², ხოლო შემდევ რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

მითრიდატე VI-ის მიერ კოლხეთის დაკავება უბრძოლველად არ მომხდარა. როგორც ჩანს, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულმა ცალკეულმა „სკეპტურიებმა“ პონტოელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს მემონის (ძვ.წ. I ს.) ცნობა, რომ პონტოს მეფემ „ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები“³. ეს „მეფეები“ რეალურად

¹ ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. – შრომები, I. თბ., 1949, გვ. 175.

² იხ.: Г.Ф. Дундуа. Монетное дело и монетное обращение в Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. – IV в. н.э.). – Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тб., 1982, გვ. 20-21; Г. Ф. Дундуа, Г. А. Лордкипаниძე. Денежное обращение центральной Колхиды в VI-I вв. до н.э. Тб., 1983, გვ. 13; Т. Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства. Тб., 1990, გვ. 48-55.

³ მემი., XV, 30, 3. ო. ყაუხეჩიშვილი. მემონის „პერაკლეის ისტორიის“ ცნობები ხაქართველოს შესახებ. – მხეთ, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 149; მემონი. პერაკლეის შესახებ. – წერ. ბერძენი მწერლების ცნობები ხაქართველოს შესახებ. VI. ძეგლი ძერძნულიდან თარგმნა, გამოქვეყნა და კომენტარები დაუზროვთ თ. ყაუხეჩიშვილმა. თბ., 1987, გვ. 26.



მხოლოდ ადგილობრივი „სკეპტურები“ უნდა ყოფილიყვნელი და ლებსაც, რა თქმა უნდა, არ სურდათ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლების შეზღუდვა. როგორც ჩანს, მათ იმდენად სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს პონტოელებს, რომ აპიანე (დაახ. 90-170 წწ.) მითრიდატეს ქვეშევრდომ და მეგობარ ხალხთა ჩამონათვალში, კოლხებს „კარგ მეომარ ხალხად“ იხსენიებს¹.

კოლხეთი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ცალკე ერთ-ეულის სახით შევიდა და მის ერთ-ერთ სატრაპიას წარმოადგენდა. სტრაბონის ცნობით, კოლხეთში „...იგ ზავნებოდა მუდამ ვინმე მის (ე.ი. მითრიდატე ევპატორის) მეგობართაგან მმართველად და გამგებლად ქვეყნისა“.² კოლხეთის სამეფოს დაცემისა და მისი ტერიტორიის მითრიდატე VI-ის სახელმწიფოში მოქცევის შემდეგ, „სკეპტურთა“ ცენტრიდანული ტენდენციები შეიზღუდა³. ჩვენ კონკრეტული ცნობები არ გაგვაჩნია იმის შესახებ, თუ როგორი იყო კოლხეთის საშინაო აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა, მისი ადგილობრივი მმართველობის ორ-

¹ App., Mithr., 15. აპიანე. მითრიდატეს ომების ისტორია. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძირებლები დაურთოთ. ფაუსტი შეიღმა. თბ., 1959, გვ. 59.

² Strabo, XI, 2, 18. მაგრამ, პონტოს სამეფოსთან კოლხეთის პოლიტიკური დაწ უკიდებულების ფორმა უცვლელი არ ყოფილა. კოლხეთის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფნის შესახებ დაწვრ. იხ.: კ. ფიფია. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან (ძვ.წ. I საუკუნე). – ხაისტორიო მუებანი, I, თბ., 1998, გვ. 18-23; თ. დუნდუა. კოლხეთი, იბერია და პონტოს სამეფო ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბ., 1993, გვ. 41-68; თ. დუნდუა. მითრიდატე უმცროსი – იყო თუ არა იხ რომის მოქავშორე? თბ., 2008, გვ. 3-5; Н. Ю. Ломоури. К истории Понтийского царства. Тб., 1979, გვ. 167-180; Г. А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 17-36; Е. А. Молев. Митридат Евпатор. Саратов, 1976, გვ. 24-27; Д. Б. Шелов. Колхида в системе Понтийской державы Митридата VI. – ВДИ, 1980, №3 (153), გვ. 28-53; А. И. Немировский. Понтийское царство и Колхида. – Кавказ и Средиземноморье. Тб., 1980, გვ. 154-160; Т. Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 60-73.

³ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 22.



განიზაცია მითრიდატე გვპატორის სამეფოს შემადგენლობაში ყოფნისას, მაგრამ, სავარაუდოა, რომ მრავალტომიან კოლხების პონტოს მმართველებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულებზე და, როგორც ჩანს, კოლხეთში კვლავ შენარჩუნებულ იქნა ქვეყნის აღმინისტრაციული დაყოფა ტრადიციულ „სკეპტურისტებიდან“¹. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ პონტოს სამეფოს საბოლოოდ განადგურების შემდეგ, ისტორიის ასპარეზზე კვლავ გამოჩნდნენ ცალკეული კოლხი „სკეპტურისტები“.

ძვ.წ. 65 წ. დევნილი მითრიდატეს კვალდაკვალ კოლხეთში შევიდნენ პომპეუსის აღმოსავლური ლეგიონები². ამ დროისათვის მითრიდატეს, რომელმაც ძვ.წ. 66/65 წ. ზამთარი დიოსკურიაში გაატარა, უკვე დატოვებული პერიოდი კოლხეთი³. კოლხეთს, როგორც პონტოს სამეფოს ერთ-ერთ სატრაპიას, პონტოს შემადგენლობაში შემავალ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს და მის ადმინისტრაციას, რომაელებისათვის ორგანიზებული წინააღმდევობა არ გაუწევია⁴. კოლხეთის უკანასკნელმა მმართველმა, სტრაბონის დედის ბიძამ მოაფერნემ, როგორც ჩანს, მითრიდატესთან ერთად დატოვა კოლხეთი და ბოსფორში გაიქცა.⁵

¹ ქ. ფიფია. კოლხეთი რომის იმპერიის პროვინციებდ ხისტემაში. – ხაისტორიო ძეგბანი, VI თბ., 2003, გვ. 193; Т. Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 81; Н. Б. Берулава. Город Диоскурия-Себастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI в. до н.э. – III в. н.э.). Тб., 2005, გვ. 132.

² პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ იხ.: ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 27-30; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 99-117.

³ App., Mithr., 101-102.

⁴ ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 28; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 109-110.

⁵ Strabo, XI, 2, 18; Г. А. Лордкипаниძე. К истории древней Колхиды, გვ. 31; Т. Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 72.

⁶ ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 28-29; გ. გამურელიძე, თ. თოდევა. რომის სამხედრო-პოლიტიკური უქვეანსია საქართველოში. თბ., 2006, გვ. 38; Т. Т. Тодуა. Колхида в сост-

დამარცხების შემდეგ დაწყებული არეულობით ისარგებლეს ფლგავარა
ილობრივმა „სკეპტიუხებმა“ და კვლავ დამოუკიდებელი პოლიტი-
კის გატარება სცადეს. როგორც ჩანს, სწორედ ცალკეულ „სკეპ-
ტიუხებთან“ უწევდა პომპეუსს ურთიერთობა კოლხეთში ლაშქრ-
ობის დროს. ამას უნდა გულისხმობდეს დიონ კასიონის (დაახლ.
153-235 წწ.) ცნობაც, რომ კოლხეთში პომპეუსი „მოქმედებდა
ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“. ¹ პომპეუსს „სკეპტიუხიათა“
ნაწილის დამორჩილება იარაღის ძალით მოუხდა. ფლორუსის
ცნობით, რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეა-
ფარა თავი კოლხთა მმართველმა ორქოზმა, ² რომელიც, რეალუ-
რად, როგორც ჩანს, ერთ-ერთი „სკეპტიუხი“ უნდა ყოფილიყო.
რომაელებს მტრულად უნდა დახვედროდა „სკეპტიუხი“ ოლთაკ-
ეც, რომელსაც აპიანე პომპეუსის ტრიუმფში მონაწილე ტყვეთა
შორის იხსენიებს. ³ მკვლევართა ნაწილის აზრით, ოლთაკე შე-
საძლოა ვანის „სკეპტიუხთა“ გვარიდან იყო ⁴.

ამდენად, პონტოს სამეფოს დაცემის შემდეგ, კოლხეთის
ტერიტორიაზე არსებული ცალკეული „სკეპტიუხიბი“ კვლავ გა-
აქტიურდნენ. ძნელი წარმოსადენია, რომ „სკეპტიუხებს“, რომ-
ლებიც მითრიდატეს მმართველობის პერიოდში პონტოს სამეფ-
ოს მოხელეებს, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების
მეთაურებს წარმოადგენდნენ, მითრიდატეს საბოლოოდ განადგ-

аве Понтийского царства, გვ. 73.

¹ Dio Cass., XXXVII, 3, 2. დიონ კასიონის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოხვა-
და შესავალი და კომენტარები დაურთო ნოდარ ლომიურმა. თბ.,
1966, გვ. 62.

² Flor., X, 28. В. В. Латышев. Известия древних писателей о Скифии и
Кавказе. – ВДИ, 1949, №3, გვ. 230-233.

³ App., Mithr., 117; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии,
გვ. 330.

⁴ გ. ინაძე. კოლხეთის სამეფოს სკეპტიუხიათა საკითხისათვის, გვ.
787; გ. ინაძე. ძევლი კოლხეთის საზოგადოების სოციალურ-პოლი-
ტიკური ისტორიის ზოგიერთი საკითხი, გვ. 59.



ურების შემდეგაც ებრძოლათ პონტოს ინტერესებისათვის მათთვები მხრიდან რომაელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას ერთპლუტოს თი ანსნა აქვს: როგორც ჩანს, მითოდატეს მმართველობის ბოლოს, „სკეპტუზებმა“ დაიბრუნეს ის მდგომარეობა, რომელიც მათ პონტოს მიერ კოლხეთის დაპყრობამდე პქონდათ და ისინი პონტოს სამეფოს ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ერთეულების მეთაურებიდან კვლავ დამოუკიდებელ მმართველებად იქცნენ. ასეთ შემთხვევაში კი ცხადია, რომ „სკეპტუზები“ წინააღმდეგობას გაუწევდნენ რომაელებს, რომელთა კოლხეთში დამკვიდრებაც მათ უფლებებს საგრძნობლად შეზღუდავდა.

თუმცა, პომპეუსმა სწრაფად დაძლია კოლხეთის ცალკეულ „სკეპტუზებითა“ წინააღმდეგობა, გაიარა შიდა კოლხეთი და მივიღა ფასისამდე, სადაც მას პუბლიუს სერვილიუსი უცდიდა სამხედრო ფლოტით, რომელსაც ბლოკირებული პქონდა კოლხეთის სანაპირო.¹ რომაელთა კოლხეთში ლაშქრობებს არ მოჰყოლია ქვეყნის უშუალოდ რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვა. პომპეუსმა კოლხეთი ცალკე ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად გამოყო, ხოლო მისი ყოფილი მეტროპოლია – პონტოს სამეფო, გაუქმებულად გამოაცხადა.² პომპეუსმა კოლხთა დინასტიად დანიშნა არისტარქე.³ როგორც ჩანს, არისტარქე იყო ადგილობრივი დიდებული, ან ერთ-ერთი „სკეპტუზი“, რომელიც პომპეუსს უჭერდა მხარს და კოლხეთის მმართველად დაინიშნა რომაელთათვის გაწეული სამსახურის გამო.⁴ პომპეუსს კოლხეთში

¹ Plut., Pomp., 34. პლუტარქე. რჩეული ბიოგრაფიები. ძველი ეროვნული დანართისა თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაუზრუნველყოფილია თბ., 1975, გვ. 330; Dio Cass., XXXVII, 3, 1-3.

² ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 30; ქ. ფიფია. კოლხეთი რომის იმპერიის პროვინციულ სისტემაში, გვ. 189.

³ App., Mithr., 114.

⁴ Г. А. Лордкипаниძე. К истории древней Колхиды, გვ. 37; Th. Reinach. Mithridate Eupator roi de Pont. Paris, 1890, გვ. 458; D. Magie. Roman rule in Asia Minor, vol. I. Princeton, New Jersey, 1950, გვ. 374.



რომაული გარნიზონები არ დაუტოვებდა და არც ქვეყნის ძირითადი ული რეორგანიზაცია მოუხდენია. როგორც ცნობილა, მთემატეტა ლები ახალდამორჩილებულ ქვეყნებში თავდაპირველად ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივ ნორმებს, არ ცვლიდნენ არსებული სამმართველო აპარატის სტრუქტურას და მას თავის სამსახურში აყენებდნენ.¹ როგორც ჩანს, ასევე მოიქცნენ რომაულები კოლხეთშიც. მათ არისტარქეს ძველი, მითოდატეს დროინდელი მმართველობის სისტემა დაუტოვეს. ახალი მმართველის რეზიდენციადაც დოოსკურია დარჩა, რომელიც მითოდატიდების პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა კოლხეთში².

არისტარქე საკმაოდ ენერგიული მმართველი გამოდგა. მან მოახერხა ქვეყანაში წესრიგის დამყარება და გარეკავეულწილად მისი მოლიანობის აღდგენაც.³ სამწუხაროდ, ჩვენ პირდაპირი ცნობები არ გავვაჩინია იმის შესახებ, თუ რამდენად რეალური იყო არისტარქეს ძალაუფლება კოლხეთის შიდა „სკეპტუხიებში“, მაგრამ, სავარაუდოა, რომ მან რომაულთა დახმარებით შეძლო მათზე გარეკავეული კონტროლის დაწესება. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ არისტარქემ კოლხეთში საკმაოდ დიდ ზანს შეინარჩუნა ხელისუფლება და თავისი მმართველობის მე-12 წელს იმასაც კი მიაღწია, რომ საკუთარი სახელით ვერცხლის მონეტებიც მოჭრა,⁴ რის ჩებასაც რომაულები ხშირად ვასალ მეფეებსაც კი არ აღლევდნენ. სავარაუდოა, რომ არისტარქეს მმართველობა ძვ.წ. 48 წ. ფარნაკეს მიერ კოლხეთის დაპყრობამდე გაგრძელდა. მისი მმა-

¹ А. Б. Ранович. Восточные провинции Римской империи I-III вв. М.-Л., 1949, გვ. 71.

² გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური უქსანისა საქართველოში, გვ. 39-40; Н. Б. Берулава. Город Диоскурия-Себастополис..., გვ. 97-98.

³ Н. Б. Берулава. Город Диоскурия-Себастополис..., გვ. 96-98, 111.

⁴ Д. Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М., 1955, გვ. 42; К. В. Голенко. Аристарх Колхидский и его монеты. – ВДИ, 1974, №4, გვ. 106; A. Jenkins. Recent Acquisitions of Greek Coins by the British Museum. – NC, 1959, ser. VI, t. XIX, გვ. 32.

როგორც ჩანს, დასრულდა კიდევ კოლხეთის შინა-
განი განმტკიცებისა და ერთგვარი სტაბილიზაციის პერიოდის დროისას.

ძვ.წ. 48-47 წწ. კოლხეთი ახალი ომების არენა გახდა. იგი პონტოს სამეფოს რესტავრაციისათვის მიმდინარე საომარ კოლი-
ზიებში იქნა ჩართული და ჯერ ბოსფორის მეფის ფარნაკეს, ხო-
ლო შემდეგ მითრიდატე პერგამონელის სამხედრო ექსპედიციების არეალში მოექცა.¹ მკვლევართა ნაწილის აზრით, ძვ.წ. 48 წ.
შემდეგ კოლხეთში ცენტრალური ხელისუფლება დაცა, ძველანა
კვლავ ცალკეულ „სტატუსიებად“ დაიშალა და არისტარქეს
დროს მიღწეული სტაბილურობა ქაოსითა და შიდადაპირისპირე-
ბით შეიცვალა.² ასეთი ვითარება, როგორც ჩანს, გაგრძელდა
ძვ.წ. 35-33 წწ., როცა მარკუს ანტონიუსმა უმართველოდ დარჩ-
ენილი კოლხეთი, მის მიერვე აღდგენილი ვასალური სამეფოს –
პოლემონიდური პონტოს შემადგენლობაში შეიყვანა.³ პოლემონ-
იდური პონტო წინა აზიის ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო იყო
და იგი რომის აღმოსავლეთ საზღვრებთან შექმნილი „ბუფერულ“
სამეფოთა სისტემის უმნიშვნელოვანეს როლს წარმოადგენდა.

კოლხეთის პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში
შევვანა, თვითონ გაუქმდებული პონტოს სამეფოს რესტავრაცია და
პომპეუსის მიერ შექმნილი მმართველობის სისტემის⁴ შეცვლა

¹ Strabo, XI, 2, 17; Dio Cas., XLII, 45-48; App., Mithr., 120. ამ საკითხის შესახებ დაწვრ. იხ.: ქ. ფიფიძ. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან (ძვ.წ. I საუკუნე), გვ. 24-26.

² Н. Б. Берулава. Город Диоскурия-Себастополис..., გვ. 111-112, 121.

³ ქ. ფიფიძ. ანტონიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და კოლხეთი. – ხაიხმეთით ძიებაზ. VII. თბ., 2004, გვ. 203-209; С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство. М., 1996, გვ. 312-314.

⁴ პომპეუსის მიერ აღმოსავლეთში გატარებული რეორგანიზაციის შესახებ იხ.: ქ. ფიფიძ. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 28-30; ქ. ფიფიძ. პომპეუსი და არისტარქე კოლხი. – ძველი, № 8-9. თბ., 2010, გვ. 267-278. კლექტრ. გერხა იხ.: http://www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/pompeusi_da_aristarqe.html; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 111-112.



დაკავშირებული იყო რომის აღმოსავლური პოლიტიკის რამდენიმე დღურ ტრანსფორმაციასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა „მეზობელ ტრიუმვირატის“ მმართველობის პერიოდში და რაც, საბოლოო ჯაში, იყო აღმოსავლეთში ორი ძლიერი პოლიტიკური ძალის – რომისა და პართიის ურთიერთობის ახალ ფაზაში შესვლის შედეგი.

ძვ.წ. I ს. 60-იან წწ. გლობალური საგარეო ექსპანსიის შედეგად რომი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წინაშე აღმოჩნდა. აღმოსავლეთში მისი უშუალო მეზობელი გახდა პართიის ძლიერი სამეფო. იგი წარმოადგენდა რომის მოსაზღვრე ერთადერთ დიდ სახელმწიფოს. იმთავითვე ცხადი იყო, რომ პართია-რომის შევიდობიანი თანაარსებობის პერსპექტივა არ არსებობდა. პართია არ ცნობდა რომაელთა პრეტენზიებს მსოფლიო ბატონობაზე და საუკუნეების მანძილზე იძროდა „აქემენიდთა დიადი მექვეიდრეობის“ დასაბრუნებლად.¹ რომსა და პართიას შორის საზღვარი მდ. ევფრატზე გადიოდა. ძვ.წ. I ს. 50-იანი წწ. მიწურულიდან მათ შორის დაწყო ხანგრძლივი, პერმანენტული ომები და ამ დაპირისპირების შედეგად აღმოსავლეთში შექმნილი „პოლიტიკური დუალიზმის“ პირობებში², ევფრატის საზღვრის უსაფრთხოების დაცვა რომის ორიენტალური პოლიტიკის ერთ-ერთ უმწვავეს პრობრუმად იქცა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მთლიანად წინა აზიის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

¹ ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 32-34; Т. Моммзен. История Рима. V. M., 1949, გვ. 325-326; Ж. Л. Феррари. Восток и Запад „Ойкумены“ от Александра Великого до Августа: История и историография. – ВДИ, 1998, №2, გვ. 49; E. Luttwak. The Grand Strategy of the Roman Empire from the First Century A.D. to the Third. Baltimore-London, 1996, გვ. 78.

² ამ პერიოდში პართია-რომის ურთიერთობის შესახებ დაწერ. იხ.: ქ. ფიფია. პართია-რომის ურთიერთობა ძვ.წ. I ს. შუახანებში და „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემის შექმნა წინა აზიაში. – ქაჯა-ახმაშვილი, XII, თბ., 2005, გვ. 67-70; А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, ч. II. М., 1966, გვ. 49-78.



ეფურატის სასაზღვრო პერიოდებში არსებული ჰყავთატუფა ური სიტუაცია დიდ გავლენას ახდენდა კოლხეთის მდგრადი განვითარებას აზეც. მართალია, კოლხეთი ეფურატის სასაზღვრო ხაზს ტერიტორიულად საკმაოდ დაშორებული იყო და უშუალოდ არ ემეზობლებოდა პართიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რომაულ გეოპოლიტიკაში. კოლხეთი ესაზღვრებოდა არმენიას, რომელიც წარმოადგენდა პართია-რომის დაპირისპირების ძირითად მიზეზს და მათ შორის გაუთავებელი ომების მთავარ ასპარეზს.¹ აზიაში პირველობისათვის მიმდინარე პერმანენტულ ომებში, კოლხეთს რომისათვის უნდა უზრუნველყო მტკიცე ზურგი და შეესრულებინა პლაცდარმის როლი პართიის წინააღმდეგ სომხეთისათვის ბრძოლაში. გარდა ამისა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთს გარკვეული სტრატეგიულ-საკომუნიკაციო მნიშვნელობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ბოსფორის მიმართაც.²

ძვ. წ. I ს. მიწურულიდან რომი აღმოსავლეთის საზღვარზე ცდილობს ძლიერი ანტიპართიული პლაცდარმის შექმნას. ამ მიზნის განსახორციელებლად რომაული იმპერატორები საკუთარი შეხედულებით, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ცვლიან მცირე აზიის პოლიტიკურ რეგიონში დაიწყო მმართველობის სისტემის ხშირი რეორგანიზაცია, პართია-რომს შორის არსებული „ბუფერული“ სამუშაოების გაერთიანება, ან პირიქით, მათი დამდა და გაუქმება. ეს ცვლილებები პირველ რიგში პოლემონიდთა სამეფოს ეხებოდა. ავგუსტუსისა (ძვ. წ. 27-ას. წ. 14 წწ.) და მისი მემკვიდრე იულიუს-კლავდიუსების დინასტიის (ას. წ. 14-68 წწ.) თთქმის ყველა იმპერა-

¹ იხ.: ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 34, 165, შენ. 2; История армянского народа, ч. I, под редакцией Б.И. Аракеляна и А.Р. Иоаннисяна. Ереван, 1951, გვ. 50.

² ქ. ფიფია. დახავლეთ საქართველოს ურთიერთობა რომთან ას. წ. I საუკუნეები. – ხაისტორიო ძეგბანი. II. თბ., 1999, გვ. 10; Н. Ю. Ломоур. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 105-106.





ტორის დროს პონტოს სამეფოს სტატუსი იცვლებოდა. თამაცხუდა ამას არ უმოქმედია კოლხეთის მდგომარეობაზე და იგი პოლუგმონიდების იდთა სამეფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. შესაბამისად, კოლხეთი ჯერ პონტო-ბოსფორის გაერთიანებული სამეფოს (ბვ. წ. 14-8 წწ.), ხოლო შემდეგ, ბვ.წ. 3/2 – ახ.წ. 17 წწ. პონტო-კაპადოკიის ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.¹ ტიბერიუსის (ახ.წ. 14-37 წწ.) პრინციპატის დროს პონტო-კაპადოკიის გაერთიანებული სამეფო კვლავ დაიშალა და პოლემონიდური პონტო, კოლხეთთან ერთად, უშეალოდ რომის პროტექტორატის ქვემ მოექცა. მომდევნო იმპერატორმა გაიუს კალიგულამ (37-41 წწ.) პონტოს სამეფო კვლავ პოლემონიდებს დაუბრუნა. ამასთან, კალიგულამ ისევ სცადა პონტო-ბოსფორის გაერთიანებული სამეფოს შექმნა. ამ მიზნით მან პოლემონ II-ს ბოსფორის ტახტიც გადასცა. მაგრამ გაერთიანებული შავიზღვისპირა სახელმწიფოს შექმნის მცდელობამ ახლაც, ისევე როგორც ავგუსტუსის დროს, ბოსფორელთა დიდი წინააღმდეგობის გამო, კრახი განიცადა.² ამრიგად, განსხვავებით ბოსფორისაგან, კოლხეთში პონტოელთა და მათი მეშვეობით რომაელთა პოზიციები ჩანგრძლივი დროის მანძილზე საკმაოდ სტაბილური იყო.

ყველაფერი ეს კოლხეთში მიმდინარე როტული შინაგანი პოლიტიკით უნდა აიხსნას. ქვეყანაში ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლება დიდი ხანია არ არსებობს, იგი დაყოფილია ცალქ-ულ „სკპტუსიებად“ და ღრმა კონომიკურ კრიზისს განიცდის. კოლხეთში ჯერჯერობით არ არსებობენ ქვეყნის გაერთიანებითა და სამეფო ხელისუფლების აღდგენით დაინტერესებული ძალები, ხოლო ცალქული „სკპტუსიების“ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სუსტია და რომაელებს, პონტოს მეფის მეშვეობით, შესწ-

¹ ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 39-41; ქ. ფიფია. ავგუსტუსის აღმოსავლური პოლიტიკა და პოლემონიდური პონტოს სამეფო. – ქადაგასის მაცნე XII. თბ., 2005, გვ. 71-74.

² ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 43-50.

ევთ ძალა, დროებით მაინც შეზღუდონ ადგილობრივ მმართველობას თა სეპარატისტული ტენდენციები.

მაგრამ რომაელთა ძალაუფლება მთელ აღმოსავლეთ შავი-ზღვისპირეთში ერთნაირი არ ყოფილა. ისინი უფრო მტკიცედ და-მკვიდრდნენ კოლხეთის ზღვისპირა ზოლში, ცენტრალურ და ჩრ-დილოეთის მთიან რაიონებში კი მათი ძალაუფლება ეფემერულ ხასიათს ატარებდა, ხოლო დიოსკურიის იქთ მცხოვრებ ტომებ-ზე რომაელთა გავლენა საერთოდ არ ვრცელდებოდა. სტრაბონის ცნობით, რომაელების „ხელში არის ჩვენები მომართული აზიის მთელი სანაპირო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქელების, ზიგებისა და ჰენიონების [მხარეს], რომელნიც ვიწრო და მწირ ადგილებში ცხოვრობენ ყაჩაღობითა და მომთაბარეობით.“¹

პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის საფეხურ-ზე მდგომი ეს ტომები საფრთხეს უქმნიდნენ კოლხეთის ზღვისპი-რა ქალაქებსაც. პლინიორესის (23/24-79 წწ.) ცნობით, ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში, ჰენიონებს გაუძარცვავთ მდიდარი ქალაქი პიტიუნტი.² ასევე დარბეული ჩანს დიოსკურიაც, რადგანაც პლინიორესი ლაპარაკობს მისი დაცარიელების შესახებ.³

მეკობრე ტომთა ასეთი განუკითხავი თარეში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია და ამას ჯერ კიდევ სტრაბონი ამჩნევდა. მისი ცნობით, „...იმ ადგილების მცხოვრებნი, რომელთაც ადგილობრივი მმართველები ჰყავთ, რაღაცა შემწეობას პპოვებენ ხოლმე წინამძღოლთა-გან უსამართლობის შემთხვევაში: რადგან ხშირად მათ (ე.ი. მეკო-ბრებს) თავს ესხმიან... ხოლო რომაელების [გამგებლობაში] მყოფი [ნაწილი] უფრო უმწეოა გამოგზავნილ პირთა უპასუხისმ-

¹ Strabo, XVII, 3, 24.

² Plin., NH, VI, 16. В.В. Латышев. Известия древних писателей о Ски-фии и Кавказе. – ВДИ, 1949, №2, გვ. 297.

³ Plin., NH, VI, 15; გ. მელიქიშვილი. ისტორიული კოლხეთის მოხა-ხლეობა ძვ.წ. II-ი საკუნძუქებში. – ხაჯარველოს ისტორიის ნარკვა-ვები. ტ. I. თბ., 1970, გვ. 480; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 376.



გებლობის გამო.⁴¹ მართალია, სტრაბონის ეს ცნობა ქრონიკული იურად უფრო ადრინდელ პერიოდს ეხება, მაგრამ იგი მოლემონიდან პოლემონიდთა მმართველობის დასახასიათებლადაც გამოღვება.

ამრიგად, პოლემონიდების ზედაპირულმა მმართველობამ ვერ შეძლო კოლხეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქვეყანა კვლავ კრიზისს განიცდიდა, საქალაქო ცხოვრება თითქმის მოშლილი, ხოლო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა შეზღუდული იყო. მაგრამ, მალე აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში პონტოელთა სუსტი ხელისუფლება უშუალოდ რომაულმა მმართველობამ შეცვალა.

კოლხეთის პოლიტიკური სტატუსის ცვლილება და მისი რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვა დაკავშირებული იყო იმ-პერატორ ნერონის (54-68 წწ.) აღმოსავლურ პოლიტიკასთან. ახ.წ. 63 წ. ნერონმა, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, გააუქმა პოლემონიდური პონტოს სამეფო². მისი ტერიტორია, კოლხეთთან ერთად, გაღატის პროვინციას შეუერთდა³. ახალი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ქ. ტრაპეზუნტი. აქვე იყო საზღვაო ფლოტის ბაზაც⁴. ნერონის ბრძანებით, კოლხეთის სანაპირო პუნქტებში – აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში განლაგებულ იქნა რომაული სამხედრო ნაწილები⁵. ამ-ჯენად, 63 წ. კოლხეთში პოლემონიდთა არცთუ ისე

¹ Strabo, XI, 2, 12.

² Tac., Hist., III, 47; Suet., Nero, 18; SHA, Vit. Aurel., XXI, 11; Eutr., Brev., VII, 14; C. IO. Сапрыкин. Понтийское царство, გვ. 338; D. Magie. Roman Rule in Asia Minor. Vol. I (Text), vol. II (Notes). Princeton, New Jersey , 1950, ტ. I, გვ. 561-562, ტ. II, გვ. 1417-1418, გვ. 62.

³ Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 364; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 209.

⁴ А. И. Амиранишвили. Иберия и римская экспансия в Азии. – ВДИ, 1938, №4(5), გვ. 171; T. B. Mitford. Some Inscriptions from the Cappadocian Limes. – JRS, LXIV, 1974, გვ. 163. მდრ. М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956, გვ. 318.

⁵ თ. თოდება. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი. დიხევრტაცია ისტორიის მუნიკიპულიათა დოქტორის სამუციკ-



ძლიერი ხელისუფლება უშუალოდ რომაულმა აღმინისტრუატული შეცვალა¹ და ქვეყანა საკმაოდ ხანგრძლივი დროით (დაახლ. 102-150 წელი) რომის პროვინციულ მმართველობას დაექვემდებარა. თუმცა, არც რომის პროვინციულ პოლიტიკაში შეიმჩნეოდა ერთიანი, კარდინალური მიმართულება. კოლხეთის რომის პროვინციულ სისტემაში ყოფნისას, იმპერიის აღმოსავლური სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის ხშირი მოდერნიზაციის შედეგად, კოლხეთის ტერიტორია ამჯერად უკვე გალატიისა და კაპადოკიის პროვინციების რეორგანიზაციის არეალში მოექცა.

მართალია, ნერონის მიერ პონტოს სამეფოს ოკუპაციას ადგილობრივ ძალთა მხრიდან წინააღმდევობა არ შეხვედრია და მის სიცოცხლეში მეტიდა-პონტოსპირეთში შენარჩუნებული იყო „3000 პოპლიტისა და 40 სამხედრო ხომალდის“² ძალით დამყარებული „რომაული წესრიგი“, მაგრამ პონტო-კოლხეთის ყოფნა გალატიის პროვინციის შემადგენლობაში დიდხანს არ გაგრძელებულა. პონტოს სამეფოს გაუქმებით გამოწვეულმა უქმაყოფილებამ ნერონის სიკვდილის შემდეგ მაინც იჩინა თავი. 69 წ. იმპერიაში

რო ხარისხის მოსამოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1995, გვ. 4447; ქ. ფიფა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების ჩადგომის დროის საკითხისათვის. – ხოხუმის უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა შეცხოვთა და ახალიანებთა სამუცხივრო კონფერენციის მასალები. თბ., 1999, გვ. 131-133.

¹ ნერონის აღმოსავლური პოლიტიკის შესახებ დაწერ. იხ.: ქ. ფიფა. ნერონის ეპიკასიური დაშქრობის მიზნებისა და მიმართულების საკითხისათვის. – ხოხუმის უნივერსიტეტის შრომები. ჟურნალურ და ხოციალურ-პოლიტიკურ ჟურნალებით სერია. I. თბ., 2007, გვ. 177-190; **К. К. Пипия.** К истории кавказской политики Нерона. – *Право и Политология*, №3(4), 2008, გვ. 53-58.

² **Jos. Flav.**, Bell. Jud., II, 366-368. ბერძენი მწერლების ცნობები საჭარველოს შესახებ. V. ძევლი ბერძენულიდან თარგმნა, გამოკვლევა და სამიებლები დაუროო თ. ყაუხეს შვილმა. თბ., 1983, გვ. 91; **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и Кавказе, т. I, вып. 1. СПб., 1893, გვ. 483.



ვიტელუსსა და ვესპასიანეს შორის მიმდინარე სამოქალაქო რეგიონის დროს, როგორც კი შესუსტდა რომაელთა საოკუპაციო ჯარების სიძლიერე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იფეთქა დიდმა ანტირომაულმა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა პონტოს სამეფო ფლოტის ყოფილი სარდალი ანიკეტი¹. ანიკეტის აჯანყება გამოხატავდა საერთოდ აღმოსავლეთ პონტოსპირეთის რომაულ სამფლობელოთა განწყობას და კოლხეთის მდგომარეობასაც ახასიათებდა.² მართალია, აჯანყება მარცხით დასრულდა, მაგრამ მან გარკეული როლი შეასრულა მთლიანად რეგიონის მიმართ იმპერიის პოლიტიკური კურსის შეცვლაში. თუმცა, რომი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა კოლხეთსა და მთლიანად ამიერკავკასიაზე თავისი გავლენის შესუსტებას და იმპერატორი ვესპასიანე (69-79 წწ.) თავდაცვის მაღალორგანიზებული სისტემის მეშვეობით შეეცადა სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გაონტროლებას რეგიონში. ამ დროიდან აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულმა სასაზღვრო-თავდაცვითმა სისტემამ.³ გარდა ამისა, 72 წ. კოლხეთი შეუკანილ იქნა ე.წ. „კაპადოკიურ კომპლექსში“, რომელიც შეიქმნა პროვინციების – გალატიისა და კაპადოკიის გართიანებით.⁴ „კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნის ძირითადი მიზანი

¹ Tac., Hist., III, 47-48. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და ქომენტარებითურთ გამოხვა აღ. გამყრელიძემ. თბ., 1973, გვ. 129.

² 6. ლომოური. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ.წ. I და აბ.წ. II საუკუნეებში. – ქართული დიპლომატიის ოსტროის ნარკვევები. ნაწ. I. თბ., 1998, გვ. 61; კ. ფიფია. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა რომთან ა.წ. წ. I საუკუნეში, გვ. 22; Н. Ю. Ломоури. Восточное Причерноморье и Рим в I в. н.э. – Историко-филологические разыскания. I. Тб., 1980, გვ. 143-145.

³ პონტ-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის შესახებ დაწერ. იხ.: კ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 81-93.

⁴ О. В. Кудрявцев. Провинция Каппадокия в системе римской восточ-



იყო რომის აღმოსავლური საზღვრების თავდაცვის უნარის მიხედვით ამაღლება. თუმცა, ამ ახალ აღმინისტრაციულ ერთეულს დიდხანს არ უარსებია და დომიციანეს (81-96 წწ.) დროს კოლხეთი კვლავ გახდა რომის პროვინციული პოლიტიკის კიდევ ერთი ცვალებადობის ობიექტი. დომიციანეს, როგორც ჩანს, შეეძინდა გაერთიანებული გალატია-კაპადოკიის პროვინციის ერთი მმართველისათვის გადაცემა და მისი ბრძანებით „კაპადოკიური კომპლექსი“ კვლავ გალატიისა და კაპადოკიის პროვინციებად დაიშალა¹. კოლხეთი კაპადოკიის პროვინციის შემაღვენლობაში იქნა შეყვანილი².

ჩვენ არავითარი მონაცემი არ გაგვაჩნია რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვის შემდეგ კოლხეთის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილზე რომაული მმართველობის მექანიზმების შესახებ, მაგრამ კოლხეთის ადგილობრივი, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალიების, რომის საერთო-პროვინციული პოლიტიკისა და პროვინციების მოსახლეობის მართვის რომაული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებლად მივვაჩნია გარკვეული ჰიპოთეტური მოსაზრების გამოთქმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოლხეთი იყოფოდა ცალკეულ „სკეპტურისებად“. ძ.წ. I ს. კოლხეთში მომხდარი პოლიტიკური კატაკლიზმებისა და ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის მოშლის შემდეგაც ძველნის ასეთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ გაუქმებულა და „სკეპტურისები“, როგორც აღმინისტრაციული ერთეულები, კვლავ განაგრძობდნენ არსებობას. 63 წ. ნერონის მიერ პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, რა თქმა უნდა, გაუქმდა პოლემონიდთა მმართველობის აპარატი პერიო-

ной политики (17-72). – ВДИ, 1955, №2, გვ. 70-71.

¹ კ. ფიფა. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 22-24; O. B. Кудрявцев. Провинция Каппадокия., გვ. 69-71.

² გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარქეგვები. ტ. I, გვ. 538; კ. ფიფა. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა..., გვ. 24.



ებშიც. პონტოელთა ხელისუფლება აღმოსავლეთ შავიზდევისპი-
რეთში რომის პროვინციულმა ადმინისტრაციამ შეცვალებული გან-
ვივარაუდოთ, რომ რომის მმართველი წრეები კოლხეთშიც ისეთ-
ივე ღონისძიებებს გაატარებდნენ, როგორსაც პროვინციულ სის-
ტემაში ჩართულ სხვა ქვეყნებში.

გლობალური საგარეო ექსპანსიის, სხვადასხვა ისტორიუ-
ლი წარსულის, სოციალურ-კონომიკური და კულტურული გან-
ვითარების მქონე ქვეყნების დაპყრობის შედეგად შექმნილ რომის
იმპერიას ძალზე რთული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუ-
ქტურა ჰქონდა. როგორც აღინიშნა, რომაელები დაპყრობილ ქვე-
ყნებში თავდაპირველად ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივი მოსა-
ხლეობის ტრადიციებს, ადათ-წესებს, ეყრდნობოდნენ ადგილობ-
რივ კანონებსა და მმართველობის ორგანიზაციას¹ და მეტნაკლე-
ბად ითვალისწინებდნენ კონკრეტული ქვეყნის ისტორიული გან-
ვითარების დონეს. როგორც ცნობილია, რომაული პროვინციე-
ბის შემადგენლობაში შედიოდა არა მარტო თვითმმართველობის
მქონე ქალაქები, მათთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურ-
ნეო ტერიტორიებით, არამედ ცალკეული ტომთა გაერთიანებე-
ბიც². ტომთა ეს გაერთიანებები რომაული სამხედრო ნაწილების
კონტროლქვეშ იმყოფებოდა და ემორჩილებოდა მათ ტერიტორია-
ზე მყოფ საოკუპაციო სამხედრო შენაერთის მეთაურებს – პრე-
ფექტებს, რომლებიც ტომთა გაერთიანებების უზენაეს ხელისუფ-
ლად ითვლებოდნენ³. მაგალითად, პროვინცია მეზის შექმნის
დროს, რომაულებმა, მხედველობაში მიიღეს რა ქვეყნის ისტორი-
ული განვითარების შედეგად შექმნილი მდგომარეობა, პროვინცი-

¹ F. De Martino. Storia della constituzione Romana. II. Napoli, 1958, გვ. 298; А. Б. Раинович. Восточные провинции Римской империи I-III вв., გვ. 71.

² Н. А. Машкин. История Древнего Рима. Л., 1948, გვ. 463; История Древнего Рима. Под редакцией В. И. Кузицкого. М., 1981, გვ. 230-233.

³ Т. Д. Златковская. Мёзия в I и II веках н.э. М., 1951, გვ. 46; Ю. К. Колосовская. Паннония в I-III веках. М., 1973, გვ. 61.



ული სისტემის ფარგლებში შეინარჩუნეს ადგილობრივი სამსახურის მოღვაწიზაციები მათივე ბელადების მეთაურობით, რომელთან ადგილისტრატორებად დაუნიშნეს უახლოესი რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურები, პრეფექტები (praefectus civitatis).¹ Praefectus civitatis იყო არა მარტო სამხედრო, არამედ ადგინისტრაციული თანამდებობა. ასე რომ, ერთ პრეფექტურაში გაერთიანებული სხვადასხვა ტომების უზენაეს ხელისუფლად რომაული ჯარის ოფიციელი ითვლებოდნენ². ასევე იყო სხვა პროვინციებშიც – დალმაციაში, პანონიაში, აფრიკაში და ა.შ.³ რომის სამხედრო ხელისუფლებას არ ეკისრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ პირდაპირი ადგინისტრაციული მოვალეობების შესრულება⁴. ამ ფუნქციებს ტომთა თუ თემთა გაერთიანებების წარჩინებული წარმომადგენლები ასრულებდნენ, რომლებიც პანონიის წარწერებში „principes“-ად ანუ უხუცესებად იხსენიებიან⁵. სწორედ მათ ევალებოდათ თავიანთ თანატომელებთან უშუალო კონტაქტი, გადასახადების აკრეფა და რომაული დამხმარე ჯარის ნაწილებში კონტინგენტის გაწვევის ორგანიზება⁶. ერთი სიტყვით, რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურთა მიერ ზურგგამაგრებული და მათზე დაქვემდებარებული „უხუცესები“ თავიანთი თანამემამულებებისათვის იყვნენ რომის ხელისუფლების პირდაპირი წარმომადგენლები.

კიდევ უფრო რთული იყო რომის აღმოსავლური პროვინციების პოლიტიკურ-ადგინისტრაციული სტრუქტურა. თითქმის ყველა აღმოსავლური პროვინცია შექმნილი იყო ადრე დამოუკიდებელი სამეფოს ბაზაზე, სადაც ისტორიულ-კულტურული თვალ-

¹ Т. Д. Златковская. Мёзия в I-II веках нашей эры, гл. 46.

² Т. Д. Златковская. Мёзия в I-II веках нашей эры, гл. 46.

³ Т. Д. Златковская. Мёзия в I-II веках нашей эры, гл. 46, Зეб. 2.

⁴ М. С. Садовская. Романизация провинции Британия (I-II вв. н.э.). – УЗГМПИ, №153, 1960, гл. 77; М. И. Решина. Происхождение и расселение Фризов. – сб.: „Романия и Барбария“. М., 1989, гл. 135.

⁵ Ю. К. Колосовская. Паннония в I-III веках, гл. 61.

⁶ Ю. К. Колосовская. Паннония в I-III веках, гл. 61.



საზრისით ძლიერი იყო ადგილობრივი, ძველაღმოსავლური შემქუდის კიდრეობისა და ელინური ტრადიციების სინთეზი, რის ფაქტოფული ერთმანეთის გვერდით არსებობდა – ელინისტური ქალაქები, ადგილობრივი ტიპის ძველაღმოსავლური ტრადიციების მატარებელი საქალაქო ცენტრები, რომაელთა მიერ დაარსებული კოლონიები და მუნიციპიურები. გარდა ამისა, ყველა პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა ავტონომიური სატახიო ტერიტორიები, ტომთა გაერთიანებები, ცალკეული პოლიტიკური ერთეულები – სატრაპიები და პატარა სამეფოებიც კი¹.

ასეთი იყო რომაული პროვინციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სტრუქტურა. ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო კოლხეთის შედაადმინისტრაციული მოწყობა პოლემონიდების სამეფოს გაუქმების შემდეგ, მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი საფიქრებელია, რომ რომის ხელისუფალთ გაუქმებინათ კოლხეთის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, „სკეპტურიები“². როგორც ვნახეთ, რომის მმართველი წრეები პროვინციების ორგანიზებისას ითვალისწინებდნენ ადგილობრივ ისტორიულ-პოლიტიკურ მდგომარეობას, თანაც კოლხეთში რომაულ ადმინისტრაციას დახვდა მისთვის ძალზე ხელსაყრელი ვითარება. დასავლეთის პროვინციების ჩამორჩნილი, განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ტომებისა და მათი ბელადებისაგან განსხვავებით, რომს აქ საქმე ჰქონდა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მართვის გამოცდილების მქონე წვრილ-წვრილ ტომობრივ-ტერიტორიულ ერთეულებთან, რომელთა მმართველებს – „სკეპტურებს“, რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურებისა თუ პრეფექტების ხელმძღვანელობით, შეეძლოთ შეენარჩუნებინათ რომ-

¹ История Древнего Рима. Под редакцией В. И. Кузинщина, гл. 233; В. И. Кузиншин, И. А. Гвоздева. История Древнего Рима. М., 2005, гл. 205-207.



ის გავლენის სტაბილურობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლხეთის ცალკეულ „სკეპტიუსიათა“ მეთაურებისა და პეტრიაშვილის ლოცირებული რომაული გარნიზონების მჭიდრო კავშირი იყო სწორედ ის ნიადაგი, რომელსაც, ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილების უზრუნველსაყოფად, უნდა დაყრდნობოდა ტრაპეზუნტის (ახლადშექმნილი პროვინციის ცენტრი) რომაული ადმინისტრაცია.

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებისა და მათი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციის – „სკეპტიუსიების“ უზენაეს ხელისუფლად, რომის პოლიტიკის ადგილზე გამტარებლად ითვლებოდნენ ზღვისპირა ზოლში დისლოცირებული რომაული გარნიზონების მეთაურები. მაგ., აფხაზობის დამხმარე შენაერთების უფროსის (praepositus) კონტროლქვეშ იმყოფებოდა ამ ციხე-ქალაქის სიახლოვეს თუ მისგან მოშორებით მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა¹. რადგანაც რომაული გარნიზონები კოლხეთის ტერიტორიაზე II ს. შუახანებამდე მხოლოდ სამ პუნქტში – აფხაზოსში, ფასისსა და დიოსკურიაში იყვნენ დისლოცირებული, გარნიზონების მეთაურებს, როგორც ჩანს, ერთდროულად რამდენიმე „სკეპტიუსის“, რამდენიმე სხვადასხვა ტომის გაკონტროლება ევალებოდათ. მაგ., იმავე აფხაზობის გარნიზონის უფროსს, აღმათ, ევალებოდა ზიდრიტებისა (რომლებზეც ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა იბერიის გავლენა) და მაკრონ-ჰენიონების მეთვალყურეობა, ფასისის რომაულ გარნიზონს – ლაზებისა და ქვეყნის შიდა რაიონებში არსებული „სკეპტიუსიების“, ხოლო სებასტოპოლისის კასტელუმს – სანიგების, აბაზებისა და აფსილების გაკონტროლება. ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ რამდენიმე სხვადასხვა ტომის გაკონტროლების პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული რომის პროვინციებში. მაგ., დუნაისპირეთის ორი დიდი ტომი – მეზ-

¹ თ. თოდუა. რომაული ხამყარო და ხაქართველოს შავიზღვისპირეთი, გვ. 205.



ები და ტრებალუბი ურთი პრეფექტის მეთვალყურეობის ქვემ მდგრადად კოფებოდნენ¹, ხოლო ნორიკუმის პირველი კოჰორტის სამრეცველოს ტი, რომელიც ასევე დუნაის სანაპიროს იცავდა, ურთდოროულად ბოიებისა და აზალების თემთა გაერთიანებებს უწევდა კონტროლს². როგორც ჩანს, ასე იყო კოლხეთშიც.

რაც შეეხება ადგილობრივი არისტოკრატის ფუნქციებს, ანალოგიებიდან გამომდინარე, მათ მოვალეობად თანამემამულეების რომაულ არმიაში გაწვევის ორგანიზებასა და გადასახადების აკრეფას მიიჩნევენ³, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანი მოსაზრებაა, მხოლოდ მიგვაჩნია, რომ ეს ფუნქციები და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, პირველ რიგში, „სკეპტურების“ კომპეტენციას შეადგენდა.

ასეთი იყო კოლხეთის საშინაო თუ საგარეო მდგომარეობის ძირითადი ტენდენციები ძვ.წ. I – ახ.წ. I საუკუნეებში. სწორედ ამ პერიოდში მიმდინარე პროცესებმა, უცხოელთა ხანგრძლივმა ბატონობამ და კოლხეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემის სიცოცხლისუნარიანობამ შეამზადა ნიადაგი იმ აზალი პოლიტიკური რეალობისათვის, რომელიც შეიქმნა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ახ.წ. II ს. დასაწყისში.

¹ Т. Д. Златковская. Мёзия в I-II веках нашей эры, гл. 46.

² A. Dobo. *Inscriptiones extra fines Pannoniae da ciaeque repartae adres eurunden provinciarum pertinentes*. Budapest, 1940, гл. 238.

³ თ. თოდუა. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, гл. 206.

თავი II

რომის აღმოსავლური პოლიტიკა და კოლხეთი ა.წ. II ს. დასაწყისში. ცალკეული „სამეფოების“ წარმოქმნა კოლხეთში.

ა.წ. II ს. დასაწყისიდან საერთო-პოლიტიკური ვითარება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მკვეთრად შეიცვალა. ერთ დროს ერთიანი კოლხეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში გაჩნდნენ ახალი ტერიტორიულ-ტომობრივი გაერთიანებები, რომლებიც უშუალოდ რომის პროვინციული მმართველობისაგან გამოსვლის შემდეგ, იმპერიისაგან ფორმალურ დამოუკიდებლობასაც იღებენ და საკუთარი „მეფეებით“ სათავეში აქტიურად ებმებიან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში II ს. დასაწყისში შექმნილი ახალი პოლიტიკური ატმოსფეროს შესახებ პირველხარისხოვან ცნობებს გვაწვდის კაპადოკიის პროვინციის მმართველი ფლავიუს არიანე (დაახლ. 95-175 წწ.) თავის ნაშრომში “მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“.

„პერიპლუსი“ წარმოადგენს ფლავიუს არიანეს მიერ 131 წ. შავი ზღვის სანაპიროზე ჩატარებული სამსახურებრივი მოგზაურობის ოფიციალურ ანგარიშს, რომელიც დართული პქონია იმპერიატორ ადრიანესადმი (117-138 წწ.) გავზავნილ ლათინურ წერილს. ამ თხზულებას განსაკუთრებულ ღირებულებას ანიჭებს ის ფაქტი, რომ არიანემ ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე მთელი სანაპირო ხაზი თვითონ განვლო და ამდენად, „პერიპლუსის“ ის ნაწილი, რომელიც ეხება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, წარმოადგენს თვითმხილველის ფასდაუდებელ ცნობებს უშუალოდ რომის პროვინციულ სისტემაში ჩართული ტომებისა თუ ის-



ტორიის ასპარეზზე ახალგამოსული სახელმწიფო ობრივი წარმონაქმნების პოლიტიკური მდგომარეობის, მათი რომოან დამზუდულებისა და რევიონში იმპერიის სამხედრო-სტრატეგიული მდგრადობის შესახებ.¹

ფლავიუს არიანე ასე აგვიწერს აღმოსავლეთ შავიზდვის-პირეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას: „შემდეგი ტომები გავიარეთ: ტრაპეზუნტელების მოსაზღვრენი, როგორც ქსენოფონტიც ამბობს, არიან კოლხები და ტომს, რომელიც უგულადესია და ტრაპეზუნტელების მოსისხლე მტერი, ქსენოფონტი დრილებს უწოდებს, მე კი ვფიქრობ, რომ ისინი სანები არიან. ესენი მეტად კარგი მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა. გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობს ეს ტომი. მეფე არ ჰყავს. ძველითგანვე რომაელების მოხარეება, მაგრამ ყაჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადასახადი. მაგრამ ამის შემდეგ, თუ დათის ნება იქნება, აწ წესიერად გადაიხდის ეს ტომი გადასახადს, ან ჩვენ მას გავაძევებთ ქვეყნიდან. ამათ გვერდით არიან მაკრონები და ჰენიოხები, მათი მეფე ანქიალეა. მაკრონების და ჰენიოხების მეზობლები ძიდრიტები არიან, ესენი ფარისმანის ქვეშვერდომნი არიან. ძიდრიტების გვერდით ლაზები არიან. ლაზების მეფე მალასაა, რომელსაც ტახტი შენგანა (ე. ი. ადრიანესავან – კ.ფ.) აქვს მიღებული. ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ იულიანემ მეფობა შენი მამისაგან (იველისხმება იმპერატორი ტრაიანე (98-117 წწ.)-კ.ფ.) მიიღო.

¹ ფლავიუს არიანესა და მიხი „პერიპლუსის“ შესახებ იხ.: მ. ინაძე-ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიისათვის (ფლავიუს არიანე და მიხი ცნობები საქართველოს შესახებ). სადისევრტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხამეცნიერო ხარისხის მოსამავალებლად (ჩელიაწერი). თბ., 1953; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შევი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოიქვეყნა, კომენტარები და რუსა ნათელა ქვეაღმამისა. თბ., 1961, გვ. 1-27; ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V. ძველი ბერძნულიდან თარგმანი, გამოიქვეყნა და ხამიჯდულები დაურთოთ. თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983, გვ. 94-116.



აფსილების მეზობლები აბასები არიან. აბასეთა მეფე რესმაგარ, /
ამასაც ტახტი შენგანა აქვს მიღებული. აბასეთა მეზობლების სამართლი
გები არიან, მათ მიწაზე იმყოფება სებასტოპოლისი. სანიგთა მე-
ფუმ სპადაგამ შენგან მიიღო ტახტი¹.¹ თითქმის ანალოგიური ცნ-
ობები არის დაცული V ს. ანონიმ ავტორთანაც.²

ამრიგად, 131 წ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში წინა
პერიოდთან შედარებით, სრულიად განსხვავებული პოლიტიკური
სიტუაციაა შექმნილი. ყოფილი პონტოს სამეფოს „სატრაპიისა“
და შემდგომ უშუალოდ რომის პროვინციულ სისტემაში ჩართუ-
ლი ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე „აღდგენილია“ აღ-
ვილობრივი „სამეფო“ ხელისუფლება და მეტიც, არიანეს მიერ
ამ ტერიტორიაზე ექვსი სხვადასხვა – მაკრონ-ჰენიონთა, იბერი-
ის გავლენის ქვეშ მყოფი ზიდრიტთა, ლაზების, აფსილების, აბა-
ზების და სანიგების პოლიტიკური გაერთიანებებია დაფიქსირებ-
ული. ამ ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნა მტკიცდე-
ბა კოლხეთის სხვადასხვა რაიონში – კლდეეთში, თაგილონში,
სარგვეშში, გონიოსა და ციხისძირში მოპოვებული არქეოლოგი-
ური მასალებითაც.³

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ახალჩა-
მოყალიბებული პოლიტიკური ერთეულებიდან ყველაზე სამხრე-
თით მაკრონ-ჰენიონების გაერთიანებული „სამეფო“ მდებარეობ-
და. იგი უშუალოდ ესაზღვრებოდა კაპადოკიის პონტოს პროვინ-
ციას, რომლის შემადგენლობაში შედიოდა კოლხებისა და სანებ-
ის მიწა-წყალიც.⁴ მაკრონ-ჰენიონებს ეჭირათ თანამედროვე ჭან-
ეთის ნაწილი ცენტრით დაახლოებით ქ. ათინასთან.⁵ მათი სამფ-

¹ Arrian., PPE, 11. ქართული თარგმანი მოგვაჩვენ ნ. კეჭადმაძის ზეზ-
ოთ დახახელებული გამოცემის მიხედვით.

² Anonym., PPE, 8, 10. იხ.: არიანეს იგივე გამოცემა, გვ. 89-90.

³ О. Д. Лордкипаниძე. Наследие древней Грузии, გვ. 343. იქვე იხ.
პრობლემის გარშემო არსებული მთელი ლიტერატურა.

⁴ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 7.

⁵ ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. – შრომები. III. თბ.,
1959, გვ. 22.



ლობელო ჩრდილოეთით ვრცელდებოდა მდინარე არქაბისამდე,¹ რომელსაც მკვლევართა ერთი ნაწილი მდ. ორხოფანი^{ზე მარტო მარტი}² კი მდინარე არხავესთან აიგივებენ.³ მაკრონ-ჰენიოხთა ჩრდილოეთით, ზღვის სანაპირო ზოლში შეჭრილი იყო ფარსმანის იძერია, რომლის ქვეშვრდომადაც ითვლებოდა ზიდრიტთა ტომი. ამ ტომის განსახლების საზღვრების შესახებაც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მკვლევართა ნაწილი, V ს. ანონიმი ავტორის ცნობის⁴ საფუძველზე, მის ლოკალიზაციას მდინარე არქაბისა და აფსაროსის (ჭოროხის) შესართავს შორის ახდენს.⁵ ზიდრიტთა ოლქს მთლიანად აფსაროსის ჩრდილოეთით, დღევანდელი აჭარა-ქობულეთის ტერიტორიაზე ათავსებს პროფ. ნ. ლომოური.⁶

ზიდრიტებს არიანეს მიხედვით, ლაზები ესაზღვრებოდნენ. ლაზებს ეკავათ კოლხეთის ცენტრალური ნაწილი, მდ. რიონის ორივე მხარეს. არიანე არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ სანამდე ვრცელდებოდა ჩრდილოეთით ლაზთა სამეფოს საზღვრები. მაგრამ, როგორც აღნიშნავს ნ. ლომოური, მდინარეების ქარიატისა (მდ. ხობი) და ხობოსის (მდ. ენგური) დასახლება ლაზთა ტერიტორიაზე ცხადყოფს, რომ ლაზთა სამფლობელოები ვრცელდებოდა სულ ცოტა ენგურის გადაღმა მხარემდე,⁷ ხოლო

¹ Anonym., PPE, §I.

² ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ. – მექი, ნაკვ. 35, 1963, გვ. 13-14.

³ გ. მელიქიშვილი. საქართველო ა.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 544; მ. პ. Инаадзе. К истории Грузии античного периода (*Флавий Аппиан и его сведения о Грузии*). Автореферат кандидатской диссертации. Тб., 1953, გვ. 16.

⁴ Anonym., PPE, I.

⁵ გ. მელიქიშვილი. საქართველო ა.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 544-545; გ. ა. მელიქიშვილი. К истории древней Грузии, გვ. 370, 353-354.

⁶ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 8-10.

⁷ ნ. ლომოური. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკური სისტემაში ა.წ. II-III საუკუნეებში. – ქართული დისტომატია. წელიწერი VI. თბ., 1999, გვ. 78.



იმის გათვალისწინებით, რომ ბიზანტიური წყაროების დამსახულება უნდა გაიგივდეს ქართულ ეგრისთან, ქართულ და სომხურ წყაროთა საფუძველზე შეიძლება დაზუსტდეს, რომ ლაზიკის ჩრდილოეთ საზღვარი გადიოდა მდინარე ეგრის-წყალზე,¹ ე.ი. დღევანდელ დალიძგაზე.²

ლაზების ჩრდილოეთით არიანე ჯერ აფსილების, ხოლო შემდეგ აბაზგთა პოლიტიკურ გაერთიანებებს ასახელებს. აფსილებისა და აბაზგების განსახლების არეალი წარმოადგენდა საკმაოდ ვიწრო სექტორს ზღვის სანაპირო ზოლში, მდ. დალიძგასა და სებასტოპოლისს შორის. ეს უკანასკნელი, არიანეს მიხედვით, სანიგების მიწა-წყალზე მდებარეობდა, რომლის ჩრდილოდასაცლეთ საზღვარიც მდ. აქეუნტზე, ანუ დღევანდელ მდ. შახეზე გადიოდა.³

აღნიშნულ პოლიტიკურ ერთეულთა წარმოშობის მიზეზები დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ფურადღებას და ამ პრობლემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე მოსაზრება არსებობს. მოკლედ შევეხოთ თითოეულ მათგანს.

ივ. ჯავახიშვილი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არიანეს მიერ აღწერილ მდგომარეობას მოლიანად რომაელთა მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მიიჩნევს. „როგორც ჩანს – წერს ივ. ჯავახიშვილი, – რომაელებს თავიანთი საყვარელი პოლიტიკური მცნება Divide et impera აქაც განუხორციელებიათ

¹ 6. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998, გვ. 8; Н. Ю. Ломоури. Абхазия в античную и раннесредневековую эпохи. Тб., 1997, გვ. 18; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 221.

² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. I. თბ., 1977, გვ. 106-113; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ. 108.

³ Arrian., PPE, 18; აქეუნტისა და შახებ ივივეობის შეხახებ იხ.: ბ. ქ-ჭადმაძე. ფლავიუს არიანე, გვ. 79, 81-82, შე. 62; М. П. Инадзе. К истории Грузии античного периода, გვ. 16.

და გაერთიანებული კოლხეთის მაგიურ თოხი სამეფოს შექმნისა-
თვის ხელი შეუწყვიათ“.¹

აღნიშნული პოლიტიკური მოვლენის მიზეზი განხხვავებ-
ულად არის ახსნილი ს. ჯანაშიასთან. მკვლევრის აზრით, კოლხე-
თის ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკური ერთეულების
წარმოშობა არის არა გარეშე ძალის მიერ თავზე მოხვეული რომ-
აული პრინციპის – „დაკუავი და იძატონე! – პრაქტიკული განხ-
ორციელების შედეგად მიღებული მდგომარეობა, არამედ ნაყოფია
თვით ქვეყნის საკუთარი, შინაგანი განვითარებისა.² ასეთი პოლი-
ტიკა დასავლეთ საქართველოში რომისათვის ფაქტიურად ზედმ-
ეტიც უნდა ყოფილიყო, რადგანაც დასავლეთ საქართველო რომა-
ელებმა ხელში ჩაიგდეს დასუსტებული, პოლიტიკურ მთლიანო-
ბასა და დამოუკიდებელ სახეს მოკლებული. ამიტომ, არიანეს მი-
ერ აღწერილი მდგომარეობის ხელოვნურად შექმნას რომისათვის
აზრი არ ჰქონდა.³

ს. ჯანაშია II ს. დასაწყისში აღმოსავლეთ შავიზღვისპირ-
ეთში ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოშობას აღვიღობ-
რივი საზოგადოებრივი ძალების თვითორგანიზაციის, შექრებისა
და გაერთიანების შედეგად მიიჩნევს. მკვლევრის აზრით, არიანეს
დროინდელი ზოგიერთი სამთავრო წარმოადგენს ძველი „სკეპ-
ტუსიების“ შემდგომ განვითარებას, და ეს „სამთავროები უკვე
ტომურ-გვაროვნულ ორგანიზაციებს კი არ წარმოადგენს, არამ-
ედ გარკვეული, თუმცა პრიმიტიული სოციალური დიფერენცია-
ციის ნიადაგზე არიან აღმოცენებულნი“.⁴

¹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წიგნი I. – თბ ზელებ-
ახი თორმეზე ტომად. ტ. I. თბ., 1979, გვ. 214.

² ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე,
გვ. 211; ს. ჯანაშია. ეგრისის სამეფოს წარმოშობა. – შრომები, II.
თბ., 1952, გვ. 311-312.

³ ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე,
გვ. 211; ს. ჯანაშია. ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 312.

⁴ ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე,
გვ. 211; ს. ჯანაშია. ეგრისის სამეფოს წარმოშობა, გვ. 312.



დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული ერთეულების წარმოშობის საკითხი ვრცლავარი არ ეთან-
ხდება როგორც ივ. ჯავახიშვილის, ასევე ს. ჯანაშიას მოსაზრე-
ბებს¹ და აღნიშნული „სამეფო“-სამთავროების წარმოშობას ხსნ-
ის თავისი ცნობილი თეორიით – კოლხეთის მოსახლეობას „ბარ-
ბარიზაციის“ შესახებ. მკვლევარის აზრით, ძვ.წ. I ს., ადგილობ-
რივი სახელმწიფოებრიობის დაცემისა და უცხოელთა (ჯერ პონ-
ტოს, შემდეგ რომის) საქმაოდ სუსტი აღმინისტრაციის დაფუძნ-
ების შემდეგ, კოლხეთის ტერიტორიაზე იწყება მეომარ მთიელ
ტომთა „მრისხანე სტიქიის“ მოძალება. ჩრდილოეთ კოლხეთ-
ის სანაპიროზე ხდება ადიღეური ტომების – ჯიქების ჩამოსახლ-
ება, რომლებმაც აქედან განდევნეს ადგილობრივი, მკვიდრი მოსა-
ხლეობა – კერპეტები. მთელ სანაპიროზე დიოსკურიიდან ვიდრე
თანამედროვე გალენჯიკისა და ნოვოროსიისკის რაიონამდე მყარ-
დება მეომარ მთიელ ტომთა განუსაზღვრელი ბატონობა, რომლე-
ბიც მეკობრეობითა და ძარცვა-ყაჩაღობით ირჩენდნენ თავს. ეს-
ენი არიან ჯიქები, პენიონები და აქელები.² ჩრდილოეთ კოლხე-
თში და კილევ უფრო ზემოთ მცხოვრები ეს ტომები, გ. მელიქიშვ-
ილის აზრით, უტევდნენ ცენტრალურ კოლხეთსაც, რის შედე-
გადაც ზღვისპირა ზოლში ახ.წ. I საუკუნეში გამოჩნდნენ სანიგე-
ბი, აბაზგები და აფსილები.³ ყველა ისინი, უფრო ადრე, იგულის-
ხმებიან იმ მრისხანე სტიქიის შემადგენლობაში, რომელსაც სტ-
რაბონი ჯიქების, პენიონებისა და აქელების სახელით იცნობს
და რომლებიც ბატონობდნენ ჩრდილოეთ კოლხეთსა და მეზობელ
რაიონებში.⁴

¹ გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 548, შემ. I; გ. ა. მელიქიშვილი. კითიონ ძველ გრიგორი გვ. 375.

² გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 538-539; გ. ა. მელიქიშვილი. კითიონ ძველ გრიგორი გვ. 364.

³ გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 539-540.

⁴ გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 539.



ცენტრალურ კოლექტში მთიელი ტომების ჩამოსახლება, /
გ. მელიქიშვილის აზრით, ხდებოდა არა მარტო ჩრდილოეთი მთიელი ტომების ჩამოსახლება, არამედ სამხრეთიდანაც, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან, სადაც აგრეთვე გვაროვნული წყობილების რღვევის საფეხურზე მდგომი მეომარი ტომები სახლობდნენ. ესენი უმთავრესად დასავლურქართული (ჭანური) ტომები იყვნენ. არც რომაელებსა და არც მათ ვასალებს – პონტიოს მმართველებს შესწევდათ ძალა, რომ მათ გამკლავებოდნენ და ეს მთიელი ჭანური ტომები იჭრებიან ბარის რაიონებში, ზღვის სანაპირო ზოლში. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში, ძველი დროიდანვე აქ მცხოვრები მაკრონების გვერდით აქტიური როლის შესრულებას იწყებენ მთიანეთიდან ჩამოსახლებული ჰენიონები, რომლებიც მაკრონებთან ერთად ქმნან ცალკე პოლიტიკურ გაერთიანებას – მაკრონებისა და ჰენიონების სამეფოს. მათი ჩრდილოეთით ზიდრიტები, ხოლო კიდევ უფრო ჩრდილოეთით, ცენტრალური კოლხეთის ზღვისპირა ზოლში აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთიანეთიდან ჩამოსახლებული მეგრულ-ჭანური ტომი – ლაზები მკვიდრდებიან.¹

ამრიგად, გ. მელიქიშვილის აზრით, ძვ.წ. I ს. დასაწყისიდან მთიელთა „მრისხანე სტიქიის“ მოძალების შედეგად კოლხეთის ზღვისპირა ზოლში გამოჩნდნენ განვითარების შედარებით დაბალ დონეზე მდგომი ტომები. ამ ტომთა მოძალების წინააღმდეგ ბრძოლის უპერსპექტივობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ რომბავერ შეძლო კოლხეთის პროვინციად ქცევა,² ხოლო მოსახლეობის „ბარბარიზაციამ“ მოგვიანებით გამოიწვია კოლხეთის ტერიტორიაზე მთიელ ტომთა ჰეგემონობით ახალი ადრეკლასობრივი პოლიტიკური ერთეულების, არიანეს მიერ დასახელებული – მაკრონ-ჰენიონების, ლაზების, აფსილების, აბაზების და სანიგებრინ-ჭანური ტომი – ლაზები მკვიდრდებიან.

¹ გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 540; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 365-366.

² გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 507; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии, გვ. 367, 373.



ის სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება.¹ აღნიშნული კონცე-
ფცია გაზიარებულია „საქართველოს ისტორიის“ უახლესი მოდენიზა-
მოცემაშიც, სადაც ამ პერიოდის კოლხეთის ისტორია სწორ-
ედ გ. მელიქიშვილის ნაშრომების მიხედვითაა გადმოცემული.²

გ. მელიქიშვილის ამ მოსახრებას არ იზიარებს 6. ლო-
მოური. როგორც აღნიშნავს მკვლევარი, ამ კონცეფციის მთავ-
არი საბუთია ის, რომ ყველა ეს, გ. მელიქიშვილის აზრით, ჩამ-
ოსახლებული ტომი, წყაროებში პირველად ახ.წ. დამდეგიდან
ისხსნიება, მაგრამ ეს საბუთი მაინცდამაინც მყარი არაა, რადგა-
ნაც ამა თუ იმ ტომის სახელწოდების ამოტივტივება წყაროებში
უსათუოდ ამ ტომთა ჩამოსახლების, მოცემულ ტერიტორიაზე
რეალურად მათი პირველად გამოჩენის მაუწყებელი არ არის.³ 6.
ლომოურის აზრით, აფსილები, აბაზები, სანიგები, ლაზები, ჰენ-
იონები და ზიღვიტები მანამდეც მოსახლეობდნენ კოლხეთის
ტერიტორიაზე, მაგრამ ერთიანი კოლხეთის სახელმწიფოს არს-
ებობის ხანაში, მათ სახელს ფარავს პოლიტიკური, კრებითი შინ-
არსის სახელწოდება – „კოლხები“ და „კოლხიდა“. კოლხეთის
სამეფოს დაცემის შემდეგ კი, იზრდება ამ ტერიტორიაზე მოსახ-
ლე ცალკეული ტომობრივი ჯგუფების დამოუკიდებლობა. გარდა
ამისა, დროთა განმავლობაში, ანტიკური ავტორები უკეთ ცნო-
ბიან კოლხეთის შინაგან ვითარებას, მის ტერიტორიაზე მცხოვ-
რებ ტომთა ვინაობას და მათი ცნობებიც აღმოსავლეთ შავიზღ-
ვისპირეთის შესახებ უფრო კონკრეტული ხდება. სწორედ ამის
გამო, ბერძნულ-რომაულ მწერლობაში ჩნდება მონაცემები იმ

¹ გ. მელიქიშვილი. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაუ-
რთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვი-
თარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 34-35; გ. მელიქიშვი-
ლი. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში, გვ. 540-548; Г. А. Мелики-
швили. К истории древней Грузии, გვ. 365-366.

² საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX სა-
უკუნის ბოლომდე). ტომი პირველი, თბ., 2012, გვ. 202-210.

³ 6. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 16-17; Н. Ю. Ломоури.
Грузино-римские взаимоотношения, გვ. 147-148.

ტომთა შესახებაც, რომლებიც მანამდეც მოსახლეობდნენ დასვ-
ლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, მაგრამ მათი სახელშეუზრიშიც
ბი ითარებოდა „კოლხებისა“ და „კოლხეთის“ ზოგადი სახე-
ლით.¹

ამის შემდეგ პროფ. ნ. ლომოური ანტიკური ხანის წყარო-
თა ანალიზით და სათანადო არგუმენტების მოტანით, რომელთაც
ჩვენ აქ ვრცლად არ შევეხებით, ასკვნის რომ მეტად არადამაჯე-
რებელი ჩანს ისეთი მძღავრი, მასობრივი შემოტევა მთის ტომებ-
ისა, რომ მას გამოეწვია ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვ-
ლენები, რომლებიც ახ.წ. პირველ საუკუნეებში დასავლეთ საქარ-
თველოში ხდება და კერძოდ, განვპირობებინა არიანეს მიერ დასა-
ხელებულ „სამეფოთა“ წარმოქმნა.² მკვლევარი ამ პოლიტიკურ
ერთეულთა წარმოშობას ერთიანი კოლხეთის სამეფოს დამლის
შედევად მიიჩნევს, მაგრამ ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიასაგან
განსხვავებით, ამ მოვლენის მიზეზად იმ ხანებისათვის ამიერკავკ-
ასიასა და მეზობელ ქვეყნებში შექმნილ საერთო-პოლიტიკურ სი-
ტუაციას მიიჩნევს.³ მისი აზრით, ახ.წ. I საუკუნეში რომმა საგრძ-
ძნობლად დათმო პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში, ამოი-
წურა მისი დაპყრობითი პოტენციალი, ამას დაემატა იბერიის სა-
მეფოს აშკარა მომძლავრება-გააგრესიულება, რომლის მისწრაფ-
ებებიც რომისათვის უკვე საშიში ხდება. ასეთ ვითარებაში, კოლ-
ხეთის ცალკეული ტერიტორიულ-ტომობრივი ერთეულების –
„სკეპტუაზების“ ცენტრიდანული ტენდენციები კიდევ უფრო ძლ-
იერდება, რომის მმართველ წრეებს კი პართიის სამეფოსთან უწყ-
ვეტი, არცთუ შედეგიანი დაპირისპირების პირობებში არ შეეძ-
ლოთ საფრთხე შეექმნათ თავიანთი გავლენისათვის ამიერკავკა-
სიაში, კერძოდ კოლხეთში და ანტონინების დინასტიის იმპერა-

¹ ნ. ლომოური. ვგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 17-18; Н. Ю. Ломоу-
ри. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 148.

² ნ. ლომოური. ვგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 18-21; Н. Ю. Ломоу-
ри. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 150.

³ ნ. ლომოური. ვგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 21.



ტორები იმულებულნი იყვნენ ეცნოთ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ტერიტორიულ-ეთნიკურ ერთეულთა ერთგვარი-დაზოგად მოკიდებულება, რათა შეენარჩუნებინათ მათზე პოლიტიკური გავლენა და ფაქტობრივი ისუნერენიტეტი. სწორედ ეს იყო II ს. დასაწყისისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცალკეული სამეფოებისა თუ სამთავროების წარმოქმნის მთავარი მიზეზი.¹ უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ პრობლემას კვლავ დაუბრუნდა ნ. ლომოური. მის უახლეს ნაშრომებში რომის როლი კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეული პოლიტიკურ ერთეულების ჩამოყალიბებაში უფრო მკვეთრად არის ხაზგასმული.²

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში საფუძვლიანად არის გაშუქებული ახ.წ. II ს. დასაწყისისთვის ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა წარმოშობის ობიექტური პირობები და მიზეზები. როგორც ვნახეთ, აღნიშნული პრობლემის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს, რომლებშიც რომის პოლიტიკური აქტივობის ხარისხი ცალკეული, „სამეფო“- სამთავროების წარმოქმნის პროცესში სხვადასხვანაირად არის გააზრებული. თუ ივ. ჯავახიშვილი, ამ პოლიტიკურ ერთეულთა წარმოშობას მთლიანად დაპყრობილი ხალხების მართვის ქლასიკური რომაული ფორმულის – Divide et impera-ს განხორციელების შედეგად მიიჩნევს, ს. ჯანაშია აღნიშნულ სამეფოთა წარმოქმნას მთლიანად ადგილობრივ, ქვეყნის შინაგანი განვითარების პროცესს უკავშირებს, რომის როლი კი მკვლევარს მეორე პლანზე აქვს გადაწეული. II ს. დასაწყისში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილ მდგომარეობაში რომის როლი სრული-

¹ 6. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 21-23; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения, გვ. 223-224; 6. ლომოური. ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ.წ. I და ახ.წ. II საუკუნეებში, გვ. 61; 6. ლომოური. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III საუკუნეებში, გვ. 75.

² 6. ლომოური. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III საუკუნეებში, გვ. 74-80.



ად იგნორირებულია ნ. კეჭალმაძის მიერ გამოცემული ფლავიუსის „პერიპლუსის“ შესავალ ნაწილში. მქონევარის ტერმინი რომი იმდენად როდი ერეოდა ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში, რომ მას რაღაც ახალი წყობის დამყარების სურვილი გასჩენოდა და რომალთა როლი კოლხეთის შინაგან განვითარებაში ნულს უდრიდა.¹

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ვერცერთ ამ მოსაზრებას, ისევე, როგორც გ. მელიქიშვილის კონცეფციას მთიელი ტომების მასობრივი მოძალებისა და კოლხეთის მოსახლეობის „ბარბარიზაციის“ შედეგად ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოშობის შესახებ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ მტკიცდება წერილობითი წყაროებით. კოლხეთის ბარის რაიონებში მთიელთა მასობრივი ჩამოწოლა არ მტკიცდება არქეოლოგიური მასალებითაც, ვინაიდან ძ.წ. VIII საუკუნიდან ვიდრე ახ.წ. V საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის დაკრძალვის წესში თითქმის არავითარი ცვლილება არ შეიმჩნევა, რაც ამ ხნის მანძილზე მოსახლეობის ერთ ეთნიკურ შემადგენლობასა და ერთიანი იდეოლოგიური საფუძვლების არსებობაზე მიუთიებს.² ეთნოკულტურული თვალსაზრისით მდგომარეობა კიდევ უფრო სტაბილურია კოლხეთის შიდა ნაწილში, რასაც მოწმობს ამ პერიოდის ბანძისა და ძევრის ქვევრსამარხები, კლდეეთის ცხენიანი სამარხები და მათი სამარხეული ინვენტარი, რომელთა აბსოლუტური უძრავლესობა გვნეტიკურად უკავშირდება გვაინბრინჯაო, ადრე-ანტიკური და ელინისტური ხანის კოლხური კულტურის ელემენტებს. ასე რომ, ამ პერიოდში კოლხეთის ტერიტორიაზე რამე ეთნიკურ ცვლილებებს აღიიღის.³

¹ იხ.: ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 13-15.

² თ. თოდუა. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, გვ. 232, 242-243. იქვე იხ. პრობლემის გარშემო არსებული მთელი ლიტერატურა.

³ თ. თოდუა. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი, გვ. 242-243.



II ს. დასაწყისისთვის ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე რიაზე შექმნილი ახალი პოლიტიკური ვითარების გამომწვევე მიზანება ზეზებში, ჩვენ როგორც ქვემოთ ვნახავთ, არ უგულებელყოფთ ადგილობრივ პროცესებს, ადრინდელი ფეოდალური დიუკიური-აციის (ს. ჯანაშია) გარკვეულ გავლენას; არ უარყოფთ იმას, რომ ქვეყნის განვითარება მიდიოდა ახალი გზით და „ადგილობრივ ძალთა აღორძინება“ მდგომარეობდა ტომობრივი ერთეულების გაძლიერებაში,¹ მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებებს, რომ ამ პროცესებმა (ქვეყნის ფეოდალიზაცია) გადამწყვეტი როლი შეასრულა ახალი პოლიტიკური ერთეულების წარმოქმნაში და რომ „რომაელთა როლი აქ ქვეყნის განვითარების შინაგანი ძალების მოქმედების დროს ნულს უდრიდა და ისტორია თავის საქმეს აკეთებდა ყოველგვარი კომპრომისების გარეშე რაიმე უცხო გავლენის წინაშე“,² რადგანაც, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ადგილობრივი საფუძვლები, რომის სანქციის, მხარდაჭერისა და, შესაძლოა, ინიციატივის გარეშე, ეს „სამეფოები“ ვერ წარმოიქმნებოდა.³

ჩვენი აზრით, სწორედ რომის მიერ აღმოსავლეთ შავიზ-ლვისპირეთში გატარებული პოლიტიკა იყო ახალ „სამეფო“-სამთავროთა წარმოქმნის მთავარი მიზეზი, თუმცა ასეთ მიზეზად ვერ მივიჩნევთ „Divide et impera“-ს პოლიტიკას, ერთიანი კოლხეთის ხელოვნურ დაშლას ცალკეულ სამეფოებად (ივ. ჯავახიშვილი), რაც რომს მართლაც არ სჭირდებოდა აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთში, რომელიც უშუალოდ ემორჩილებოდა რომის პროვინციულ მმართველობას, წარმოადგენდა კაპადიკის პროვინციის ნაწილს და იხდიდა ხარკს. რატომ უნდა ყოფილიყო რომისათვის ხელსაყრელი ამ ტერიტორიაზე ცალკეული „სამეფოების“ აღდგენა, თუნდაც მისი უნიათო, მთლიანად იმპერიაზე და-

¹ იხ.: 6. ქვეაღმაძე. ფლავიუს არიანე..., გვ. 14.

² 6. ქვეაღმაძე. ფლავიუს არიანე..., გვ. 15.

³ 6. ლომოური. დასავლეთ საქართველო რომის პოლიტიკურ სისტემაში ახ.წ. II-III საუკუნეებში, გვ. 75.

მოკიდებული „მეფეებით“ სათავეში? რა თქმა უნდა, რომისათ/ ვის უფრო სასურველი იყო კოლხეთის ძველებურად პროტოციტული მმართველობის ქვეშ ყოფნა, მაგრამ რეგიონში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის საღი გააზრებისა და აღმოსავლეთში საკუთარი პოზიციების რეალურად შეფასების შემდეგ, რომის მმართველი წრები, რომლებიც მართლაც რომ დახვეწილად ფლობდნენ დაპყრობილი ხალხების მორჩილებაში ყოლის მეთოდებს, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ცალკეულ ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულებს აძლევენ ერთგვარ დამოუკიდებლობას, თვითმმართველობას საშინაო საქმეებში, რაც სრულიად მისაღები იყო რომაული პოლიტიკისთვის.

ახლა რაც შეეხება იმ კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციას, რამაც განაპირობა რომის მიერ ცალკეულ გაერთიანებათა მმართველებისათვის „სამეფო ხელისუფლების“ გადაცემა. თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არიანეს მიერ ჩამოთვლილი გაერთიანებები წარმოადგენდნენ ჯერ კიდევ ძველი კოლხეთის სამეფოში შემავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, „სკაპტუხიების“ მექანიზრებს და სწორედ ცალკეულ „სკაპტუხთა“ აღზევების შედეგია არიანეს მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე დაფიქსირებული სურათი. როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთის სამეფოში შემავალი ცალკეული „სკაპტუხიები“ ყოველთვის ინარჩუნებდნენ გარკვეულ დამოუკიდებლობას. მათი დამოუკიდებლობის ხარისხი დამოკიდებული იყო ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეზე. თუ კოლხეთის სამეფოს არსებობისა და ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების პირობებში „სკაპტუხიები“ მეფის ხელქვეითი ადმინისტრაციული ერთეულები იყვნენ, ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე ამ ტერიტორიულ გაერთიანებათა მმართველები კვლავ იწყებდნენ ბრძოლას მათი ადმინისტრაციული ერთეულის ცალკე სამთავროდ გადაქცევისათვის. მაგ., ძვ.წ. II საუკუნეში, კოლხეთში სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემდეგ, „სკაპტუხიებმა“ იმდენად მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას მიაღწიეს, რომ ქვეყნა ფაქტ-

ობრივად დაიშალა. „სკეპტურთა“ მისწრაფება დამოუკიდებლობისა კენიად ძლიერი იყო, რომ, როგორც ვნახეთ, ისენიდან მარტინ გარიშეს არ უწევდნენ ისეთ მძღავრ გეოპოლიტიკურ ძალებსაც კი, როგორიც იყო მითრიდატული პონტო და რომი. „სკეპტურთა“ იარაღით ხელში იბრძოდნენ მოპოვებული დამოუკიდებლობის დასაცავად და რეგიონში პონტო-რომის დამკვიდრების წინააღმდეგ. პოლემონიდთა მმართველობის დროს ისინი კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ პონტოელები მეტნაკლებად ახერხებდნენ „სკეპტურთა“ ამ მისწრაფებების ალაგმებას. I ს. 60-იანი წლებიდან, როგორც აღინიშნა, რომ აული გარნიზონების კონტროლქვეშ მოქცეული „სკეპტურთა“ ფაქტობრივად რომის მოხელეებს წარმოადგენდნენ და ისინი მათ ტერიტორიაზე დისლოცირებული საიმპერიო გარნიზონების მეთაურებს ემორჩილებოდნენ. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ პერიოდისათვის რომაული გარნიზონები კოლხეთში მხოლოდ სამსახურო პუნქტში (აფსაროსი, ფასისი და სებასტოპოლისი) იდგა. ასე რომ, რომაელთა უშუალო მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო კოლხეთის მხოლოდ ზღვისპირა ნაწილი, ქვენის შადა რაიონებში კი მათ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები და კასტელუმები არ გააჩნდათ. ეს რაიონები აღიღილობრივი მმართველების ხელში იყო, რომლებიც ანგარიშვალდებული იყვნენ რომაული გარნიზონების მეთაურთა წინაშე. მაგრამ, რამდენად ეფექტური და მოქნილი იყო რომის სამხედრო ნაწილების მიერ ქვენის შიდა რაიონებზე განხორციელებული კონტროლი, ძნელი სათქმელია. მით უმეტეს ტომობრივად ისეთ ჭრელ რეგიონში, როგორიც იყო კოლხეთი. თავი რომ დავანებოთ ადრეანტიკური ხანის წყაროებს, ჩვენი საკვლევი პერიოდის თანამედროვე ავტორებიც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აფიქსირებენ ტომებს, რომლებიც არიან მიერ დასახლებული პოლიტიკური ერთეულების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, მაგრამ „პერიპლუსში“ მოხსენიებული არ არიან. მაგ., პლინიუსის ცნობით, „...ტრაპეზუნტიდან 140 000 ნაბიჯზე მდინარე აბსაროსია, შესართავთან



იმავე სახელწოდების ციხესიმაგრით. იმ ადგილებში მთებს გადაღმა იძერიაა, ხოლო ნაპირის გასწვრივ მოსახლეობებს ხები, ამპრევტები, ლაზები¹. აქ მოხსენიებული ამპრევტების ადგილას არიანე ასახელებს ზიდრიტთა ტომს, ყოველ შემთხვევაში, მათ სამფლობელოს ჰენიოხებსა და ლაზებს შორის აფიქსირებს.² ასე რომ, ორივე ავტორი ამპრევტებსა თუ ზიდრიტებს გამოყოფს ლაზებისა და ჰენიოხებისაგან, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ისინი ცალკე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ცალკე „სკპტუხიაში“ ყველა გაერთიანებული.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა ტომობრივად რომ უფრო დაქსაქსული იყო, ვიდრე ამას არიანე აგვიტერს, მოწმობს ტაციტუსის (56-117 წწ.) ცნობაც, რომელიც სადღაც ამ ტერიტორიაზე აფიქსირებს სედოხეზების ტომს, რომელსაც გააჩნია საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია, ჰყავს საკუთარი „მეუზ“ და ანიკეტის აჯანყების დროს საკმაოდ დამოუკიდებლადაც უჭირავს თავი.³

საინტერესო ცნობები არის დაცული II ს. 20-60-იან წლებში მოღვაწე ავტორის კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში“⁴. პტოლემაიოსის ცნობით, „კოლხეთ-

¹ Plin., NH., VI, 12.

² როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ფორმალურად (დასახელების რიგის მიხედვით) გამოდის, რომ არიანეს ზიდრიტები უდრიან პლიოზების ამპრევტებს. რეალური ურთიერთობის გარევევა, ზიდრიტ-ამპრევტებს შორის მომავლის საქმეა“ – იხ.: ს. ჯანაშია. თუბან-თაბაალი..., გვ. 23, შენ. I.

³ Tac., Hist., III, 48.

⁴ პტოლემაიოსი ეკუთვნოდა ალექსანდრიის სახელგანთქმულ სამეცნიერო სკოლას. იგი, კოპერნიკამდე და XVII ს. სამეცნიერო რევოლუციიამდე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ითვლებოდა ასტრონომიული და გეოგრაფიული ცოდნის ურყავ ავტორიტეტიდად. მართალია, პტოლემაიოსის გეოცენტრისტული სისტემის გამო, კავკასიის რეგიონთან მიმართებაში მისი გეოგრაფიული კოორდინატები სრულიად გამოუყენებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ ღირშესანიშნ-



ის ზღვისპირა ზოლში მოსახლეობენ ლაზები, ზევით მდებარები ადგილებში მანრალები და ეკრი[ქ]ტიკის ქვეყნის მცხოვრებლები იყვნა აშკარაა, რომ პტოლემაიოსი ტერმინს „კოლხეთი“ ძველი ტრადიციის გავლენით ხმარობს და იგი გვიანდელ „ლაზიკეს“ შესატყვისება.²

ასე რომ, პტოლემაიოსის მიხედვით, კოლხეთის შიდა მხარეებში, ზღვისპირა ნაწილიდან „ზევით მდებარე ადგილებში“ ცხოვრობდნენ მანრალები, რომლებსაც პტოლემაიოსის გარდა, არც ერთი ანტიკური ავტორი არ იცნობს.³ მანრალები მერმინდელი მეგრელების დამახინჯებული ფორმაა,⁴ თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ პტოლემაიოსის მანრალები შესაძლებელია იყვნენ დასავლეთ საქართველოს უკიდურესი აღმოსავლეთ პროვინციის არგვეთის მცხოვრებნი – მარგველები.⁵

თითქმის ანალოგიური ცნობა არის დაცული ე.წ. „სომხურ გეოგრაფიაში“, რომლის სხვადასხვა რედაქციასაც VII-X საუკუნეებით ათარიღებენ.⁶ „სომხური გეოგრაფიის“ მიხედვით, „კოლხეთი არის იგივე ევრისი (ეგერ)… და შეიცავს ევრისი ოთხ

ავია თავისი მდიდარი, ახალი და მანამდე უცნობი მონაცემებით (იხ.: ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ. – მსეუ, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 39-65; В.И. Кузинин, И.А. Гвоздева. История Древнего Рима, გვ. 263).

¹ Cl. Ptol., Geogr., V, 9, 5. ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 45.

² დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., გვ. 87.

³ ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, გვ. 57, შენ. 15.

⁴ ივ. ჯაგახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, გვ. 418; ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 6, შენ. 1.

⁵ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის..., გვ. 88; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში, გვ. 102.

⁶ „სომხური გეოგრაფიის“ შესახებ იხ.: ნ. ჯანაშია. სომხური ანთიმური გეოგრაფია. – წგნ.: ნ. ჯანაშია. ისტორიულ-წაროთმეტებრივობითი ნარკვენები. თბ., 1986, გვ. 243-336.



մըսուր կեցպանաս: մանրութիւն, աշխատա, լածուց, քանչուու, ռոմելութիւն արուան խալքածու:”¹ Ռոգորու աղնութեազն մաքալաւրեծու, վեամենալուս ցըղըրացուու: “ազգուր և ցըրուս աղնութեան սարացքելու ռոգորու կլազդու էպուլամառուս, անցաւ և ներա նվարուցուու: և գերմուգ, IV և. մեռու նաեւըրու ծերծեն ցըղըրացուուս քաპու ալայիսանդրուցու հայենամց արմունիւց տեսչուլուծուու:”²

ամրոցած, „սոմինուր ցըղըրացուու:” մոխեցու, ցըրուս ոյույունա ուու կեցպանած: մանրութիւն, անյ էպուլամառուս և սուլու մանրալուծու: ցըրեազն նաեւընեծու էպուլամառուտան ցիրուկիւցէս, եռլու յարուց նվարուցու: „մոխա ցըրուս:” սախու, ռոմելութիւն մուլցազ և գերութուրուս: „ցըրուս-նվալսա և ռունս մ-յա:”³ քանչուու, ռոմելութիւն մազեարունեծու գորոնես մեսարտացու սամերետու մտանետմու և ռոմելուս ցարկալուց նախունիւն ցըրուս յարգլուծմու շնու մեսուլուց IV և. ջասաւըրուլսա և V և. ջասանցունիւն, ցըրուս սամեցու ցանսացուրունելու մլուցու նանամու, ⁴ և սակաւու րու լածուու:”⁵

ჩիշ այ առ մեջեթե ամ բումտա լույալութաւուսա և մատո ցանսակլուծու արյալու տազուտացա ռուց արունելութմուն, արամեց ցանդա մեծունու ալզնունու, ռում II և. մ-յա նանեծմու արմուսավու մազունակութետմու ցալկալութիւն արունելու ցրութեալուծու, մատ մորու լածուու ցայրուտանեծու և շոյրու ցուան, սկզբ ըրտունու

¹ Армянская география VII в., издал К. Патканов, СПб., 1877, გვ. 38-39. յլութիւն ցըրեան օհ.: <http://www.vehi.net/istoriya/armenia/geografiya/index.html>.

² Ս. յայաձամք. յարուց սաելութիւնութեանունու ցենցեսուս սայուտեծու. – սասեթուրու ժոամից. Եջե. I, Ծյ., 1924, գվ. 36-39; դ. մշևելու մշունու. սայարուց յալունու օիքուրու ցըղըրացուու մորուտածու սայուտեծու, գվ. 93-94. ոյզը օհ. արունելութիւն որցու ցըղըրաց մուլու լութիւնաթյուրա.

³ յարուց լութիւնու. Ծյեթիւն ժամանու ցըղըրա ժորուտածու հյունաթյուն մուխցուտ և յաշեթիւնու մոյթ. Ծ. I. տե., 1955, գվ. 198-199.

⁴ դ. մշևելու մշունու. սայարուց յալունու օիքուրու ցըղըրացուու... գվ. 94-95.

⁵ Մեջ. Յ. օնցուրուց. ցուու մերմիւլու. տե., 1954, գվ. 203-217.



ეგრისის (ლაზიკის) სამეფოს არსებობის პირობებში, წყაროთვის გურიაში და ამ ტერიტორიაზე საკუთრივ ლაზებისაგან ასხვავებენ მანამდებრების ებსა და ეკრიკტიკის/ეგრევიკის ქვეყნის მცხოვრებლებს. და თუ ერთიან დასავლურ-ქართულ სამეფოში – ეგრისში, როგორც აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი „აღარ ჩანდა ეგრე რიგად ტომობრივი გამოკეთილობა (არც პოლიტიკური და არც ეთნიკური)... და ძეგლი ტომობრივობის კვალი გაქრობის გზაზე იდგა“¹, უფრო ადრე ეს ტომობრიობა აშკარად ჩანდა, რასაც ძეგლი ბერძნული წყაროები მოწმობენ (ეკრიკტიკე, მონრალოი).²

ასე რომ, განსხვავებით არიანესაგან, რომელმაც მხოლოდ კოლხეთის სანაპირო ზოლი აღწერა და კონკრეტულად აქ მცხოვრები ტომების შესახებ შემოგვინახა ცნობები, მისი თანამედროვე კლავდიოს პტოლემაიოსი და შემდგომი პერიოდის წყაროებიც კოლხეთის სანაპიროზე აფიქსირებენ ლაზებს, ქვეყნის შიგნით კი მანრალებსა და ეკრიკტიკის (ეგრისის) ქვეყნის მცხოვრებლებს. როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ცალკეული პოლიტიკური ერთეულები აქ არსებული „სკეპტურის“ შემდგომ განვითარებას წარმოადგენდნენ. ასეთ ვითარებაში ბუნებრივია ჩნდება კითხვა, თუ რამდენი „სკეპტურია“ იყო კოლხეთში და ლაზების, აფსილების, აბაზებისა და სანიგების „სკეპტურის“ გარდა არსებობდა თუ არა კოლხეთის ტერიტორიაზე სხვა ანალოგიური ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულები. როგორც ვნახეთ, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არიანეს მიერ ჩამოთვლილი ტომობრივი ჯგუფების გარდა, სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ (მანრალები, ეგრები). პქონდათ თუ არა მათ საკუთარი სატომო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაცია „სკეპტურია“, თუ ისინი ლაზთა „სკეპტურიაში“ შედიოდნენ, ამის შესახებ დღესდღეობით გადაჭრით პას-

¹ 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1990, გვ. 486.

² 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გვ. 486.



უხის გაცემა ძალზე მნელია. მაგრამ, რამდენადაც ყველაზე ჰქონდა
თავისი „ქვეყანა“ აქვს¹ და ამ სატომო-სამეცნიერო ერთეულებში,
კოლხეთის სამეფოს შექმნის წინა ზანებში არსებული ცალკე ის-
ტორიული წარმონაქმნების, „ქვეყნების“ საფუძველზე შექმნილი
„სკეპტიუსიებიც“² ისეთ აღმინისტრაციულ ერთეულებს წარმოა-
დგენდნენ, რომლებიც აერთიანებდნენ ცალკეულ ტომებს,³ სავა-
რაუდოა, რომ ზიდრიტებს, მანრალებსა და ეგრებსაც საკუთარი
სატომო ორგანიზაციები ჰქონდათ და ცალკე აღმინისტრაციულ-
ტომობრივ ერთეულებში, ცალკე „სკეპტიუსიებში“ იყვნენ გაერთ-
იანებული. ასე რომ, ლაზებისა და სხვა „სკეპტიუსიების“ გვერდ-
ით კოლხეთის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო ზიდრიტების, მა-
ნრალებისა და ეგრების „სკეპტიუსიებიც“. საინტერესოა, რომ მკვ-
ლევართა ნაწილის აზრით, სტრაბონისეული „სკეპტიუსიები“ წა-
რმოადგენდნენ არა სატომო ორგანიზაციას, არამედ ტერიტორი-
ულ პრინციპზე დაფუძნებულ აღმინისტრაციულ ერთეულებს,⁴
ხოლო შიდა კოლხეთის „სკეპტიუსიები“ იყო ფიზიკურ-გეოგრაფ-
იულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი
ტერიტორიული ერთეულები – საირსის ქვეყანა, ქუთაისის ქვეყა-
ნა, ვარდინის ქვეყანა, ნოქალაქევის ქვეყანა, ვანის ქვეყანა და
სხვ., რომლებიც გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობ-
დნენ.⁵

¹ ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. გვ. 107.

² მ. ინაძე. კიდევ ერთხელ ეთნო-ტერიტორიული ერთეულების შესა-
ხებ. – ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული მდგრადი სტატიური კონფერენცია. თბ., 2002, გვ. 93-98; მ. ინაძე.
გ. ყორანაშვილის წიგნის – „საქართველოს სახელმწიფოს წარმ-
ოშობის საკითხის“ გამო. – ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის ხათ-
ავეჯებთან. თბ., 2001, გვ. 26.

³ მ. ინაძე. კოლხეთის სამეფოს სკეპტიუსიათა საკითხისათვის, გვ.
788-789.

⁴ ო. ლორთქიფანიძე. იყო თუ არა სახელმწიფო კოლხეთი?, გვ. 50.

⁵ გ. გამყრელიძე. ისტორიულ-ტოპორარქეოლოგიური ძიებანი. თბ.,
1993, გვ. 60-73; გ. გამყრელიძე. ცენტრალური კოლხეთის ძველი
ნამოსახლარები. თბ., 1982, გვ. 36-37; გ. გამყრელიძე. კოლხოლოგიუ-
რი ნარკვევები. თბ., 2001, გვ. 43-44, 59-60.

აქ ჩამოთვლილი ცალკეული „ქვეყნები“ წარმოადგენს
თუ არა „სკეპტიუსტებს“, ამის გაზიარება, დღესდღეობით უნდა იყოს
ხელთ არსებული წყაროების სიმცირის პირობებში, სათუოა, მაგ-
რამ ნიშანდობლივია, რომ ამ მოსაზრებითაც, განსხვავებით ზღ-
ვისპირა „სკეპტიუსტებისაგან“, კოლხეთის შიდა რაიონებში არსე-
ბობდნენ ასევე გარკვეული დამოუკიდებლობის მქონე ერთეულე-
ბი, ცალკეული „სკეპტიუსტები“.

კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ცალკეული „სკეპ-
ტიუსტების“ მმართველთაგან ზოგიერთი II ს. დასაწყისში რომის
იმპერატორისაგან იღებს „სამეფო“ ხელისუფლებას, რაც საფუძ-
ვლს უყრის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი პო-
ლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება-განვითარებას. რა უნდა
ყოფილიყო რომის მიერ განხორციელებული ამ პოლიტიკური აქ-
ტის, კოლხეთის ტერიტორიაზე „სამეფო“ ხელისუფლების აღდ-
გნის მიზეზი?

როგორც ვნახეთ, პოლემონიდური პონტოს სამეფოს გაუ-
ქმებისა და კოლხეთის პროვინციულ სისტემაში ჩართვის შემდეგ,
რომაელების მიერ ოკუპირებულ იქნა ქვეყნის სანაპირო ზოლი,
კოლხეთის შიდა რაიონების მართვაში კი ისინი აღიღილობრივ
„სკეპტიუსტებს“ ეყრდნობოდნენ. მაგრამ, რომაელთა სამხედრო ხე-
ლისუფლება აღმოსავლეთ შევიზღვისპირეთში არ იყო ძლიერი.
როგორც აღინიშნა, რომაელი გარნიზონები აქ მხოლოდ სანაპი-
რო პუნქტებში იყვნენ დისლოცირებული, ხოლო „სკეპტიუსტები“
მუდამ იჩინდნენ ცენტრიდანულ, ცალკე სამთავროდ გადაქცევის
ტენდენციას. აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარების რომის
საზიანოდ შეცვლის, რომის სამხედრო პოტენციალის შესუსტე-
ბის, მეზობელი იბერიის სამეფოს მომძლავრება-გააქტიურებისა
და პოლემონიდთა სამეფოს გაუქმების შედეგად აღიღილობრივი
მოსახლეობის უქმაყოფილების ზრდის პირობებში, „სკეპტიუსტა“
სეპარატისტული მისწრაფებანი კიდევ უფრო უნდა გაძლიერებუ-
ლიყო. რომი ასე თუ ისე ახერხებს, ქვეყნის ზღვისპირეთში, უშუ-
ალოდ რომაელი კასტელუმების სიახლოეს მცხოვრები ტომებ-



ის მორჩილებაში ყოლას, მავრამ ქვეყნის შიდა რაიონების „**ტუხიებს**“, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ სამართლება
ხელისუფლების წინაშე, მაგრამ მათი რომზე დამოკიდებულება
არ იყო სამხედრო გარნიზონებით განმტკიცებული, ეძლევათ მო-
ქმედების სრული თავისუფლება და ისინი გამოდიან რომის კონტ-
როლიდან. პირველ რიგში, ესენი უნდა ყოფილიყვნენ მანრაღები-
სა და ეგრების „**სკეპტუხები**“, რომლებიც იწყებენ კოლხეთის
ზღვისპირა ქალაქებზე თავდასხმებს. ასეთ ვითარებაში, ღრმავდე-
ბა წინააღმდევობა ქვეყნის შიდა რაიონების შმართველებსა და
ზღვისპირა ნაწილის „**სკეპტუხებს**“ შორის, რომელთა ტერიტო-
რიაზეც მდებარეობდა რომაული კასტელუმები. მაგ., ლაზთა ტო-
მის „**სკეპტუხი**“, რომელიც მთლიანად მოქცეული იყო მის ტერი-
ტორიაზე მდგომი რომაული სამხედრო გარნიზონის კონტროლ-
ქვეშ, ცხადია, გამოდის რომაულ ციხესიმაგრეზე თავდამსხმელ-
თა წინააღმდევ, რადგანაც რომაული სამხედრო-სასაზღვრო პუნ-
ქტი, ფასისი ამავე დროს ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობის
— ლაზების საქალაქო ცენტრს წარმოადგენდა. მართალია, კოლ-
ხეთის ზღვისპირა ცენტრებზე ადგილობრივ, ქვეყნის შიდა რაი-
ონების მცხოვრებთა მხრიდან თავდასხმების შესახებ, ჩვენ პირ-
დაპირი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ შევი ზღვის აღმოსავლეთ
სანაპიროს ზოგიერთ რაიონში შექმნილი პოლიტიკური მდგომა-
რეობის გათვალისწინებითა და ანალოგიებიდან გამომდინარე,
ვფიქრობთ, აღნიშნულ პროცესებს კოლხეთშიც უნდა ჰქონდა
ადგილი. არიანეს ცნობით, სანები, რომლებიც უშუალოდ რომის
პროვინციულ მმართველობას ეჭვემდებარებიან,¹ „...მეტად კარგი
მეომრები არიან და ახლაც დიდი მტრები ტრაპეზუნტელებისა...
მეფე არ ჰყავთ. ძევლითგანვე რომაელების მოხარკეა, მაგრამ ყა-
ჩაღურ ცხოვრებას ეწევა და სისტემატურად არ შემოაქვს გადა-
სახადი“.² ასე რომ, სანები დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ზღვისპირ-

¹ ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 7.

² Arrian., PPE, 11.

ეთის ბერძნულ ქალაქებსა და რომაულ გარნიზონებს.¹ და ეს ხდება აღმოსავლეთ შავიზნებისპირეთში რომაულთა საყრდენობრივად პუნქტის – ტრაპეზუნტის² სიახლოვეს, თანაც II ს. 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც რომაულთა პოზიციები რეგიონში ბევრად უფრო სტაბილური იყო, ვიდრე რამდენიმე ათეული წლით ადრე, ჩვენთვის საინტერესო პერიოდში. გარდა ამისა, არიანესთან დაცული არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც უკვე საკუთრივ კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულ ქალაქ ფასისს ეხება, და რომელიც შეიძლება აღგილობრივ ტომებს, ცალკეულ „სკეპტურებებს“ შორის დაპირისპირების არსებობის დამადასტურებლად ჩაითვალოს. არიანე დაწვრილებით აგვიწერს ფასის ციხესიმაგრეს და აღნიშნავს, რომ ის „ყოველმხრივ იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ვერავინ მიუახლოვდეს ბარბაროსთაგან და რომ ალყის საფრთხე არ მოელოდეს ციხის დამცველთ“.³ ჩვენი აზრით, ამ „ბარბაროსებში“ სწორედ რომაულებისადმი მტრულად განწყობილი აღგილობრივი მცხოვრებლები უნდა

¹ **М. И. Максимова.** Античные города Юго-Восточного..., гл. 405.

² ტრაპეზუნტი წარმოადგენდა რომის კავკასიური პოლიტიკის საყრდენს და რეგიონის მნიშვნელოვან სამხედრო-პოლიტიკურ და კოონიმიკურ ცენტრს. ახ.წ. 64 წლიდან იგი რომაული ფლოტის – Classic Pontica-ს მთავარი ბაზა იყო (А.И. Амирранашвили. Иберия и римская экспансия в Азии, гл. 171; S. Gregory. Roman Military Architecture on the Eastern Frontier. Vol. II. Amsterdam, 1997, гл. 32. ჟდრ.: М.И. Максимова. Античные города..., гл. 318). ტრაპეზუნტიდან სათავეს იღებდა პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემა. აღმოსავლეთ შავიზნებისპირეთის სასაზღვრო ხაზზე განლაგებული კასტელუმების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენტრალური წებული წესით სწორედ ტრაპეზუნტიდან ხორციელდებოდა (ამ საკითხის შესახებ დაწვრ. იხ.: ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზნებისპირეთი I-II სს., гл. 87-88; ქ. ფიფია. რომაული გარნიზონები და სასაზღვრო ციხესიმაგრები აღმოსავლეთ შავიზნებისპირეთში I-II სს. – “თემიზურაზ მიმზანი-70.” თბ., 2008-2010, გვ. 128-132. კლემბრ. კერძოა იხ.: www.dzeglebi.ge/statiebi/istoria/romauli_garnizonebi.html.

³ Arrian., PPE, 9.



იგულისხმებოდეს.¹ რა თქმა უნდა, რომაელთა მიერ დანიშნული
ლაშთა „მეფე“ მაღასა რომაულ გარნიზონზე იერიშს არამოტემცვა
და და ეს „ბარბაროსები“ ქვეყნის შიდა რაიონებში მცხოვრები
ტომები უნდა იყვნენ, რომლებიც არ ეძორჩილებოდნენ რომაელთა
ხელისუფლებას. ასე რომ, II ს. 30-იანი წლების დასაწყისში,
როდესაც კოლხეთის ტერიტორიაზე უკვე შექმნილია ცალკეული
„სამეფო“-სამთავროები, მათ შორის ლაშების „სამეფო“, და

¹ მართალია, გამორიცხულიარ არის, რომ არიანებს მხედველობაში
ჰყავდეს შევი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ სანაპი-
როთა ტომები, მაგრამ, როგორც აღნიშნავს ნ. ლომოური, ქ. ფასისი
მაინც შედარებით მოშორებული იყო ჩრდილოეთის ტომთა ტერიტ-
ორიას და მათგან უშეაღლო საფრთხე მას ნაკლებად ელოდა (იხ.: ნ.
ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 32-33). უკანასენელ
ხანებში გამოითქვა მოსახურება, რომ არიანებენ ული „ბარბაროსები“ შესაძლებელია იბერები ყოფილიყვნენ (თ. თოდუა. რომაული
სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003, გვ. 21-22). მაგრამ, ჩენი აზრით,
ეს გარკვეულ ეპიზოდი იწვევს. როგორც არიანებს ცხობიდან ჩანს, ფასი-
სი საომარი მანქანებითაც იყო შეიარაღებული (Arrian., PPE, 9), ხო-
ლო იბერიის მიმართ ძირითადი ფორპოსტის როლს ახრულებდა
მისი უშეაღლო მეზობელი აფხაზოსის ციხესიმაგრე (აფხაზოსის
შესახებ იხ. ქ. ფიფია. მაკრონ-ჯენიოსხების „სამეფო“ – რომის მოკა-
ვშირე აღმოსავლეთში. – საისტორიო ძიებანი. IV. თბ., 2001, გვ. 55-
62.). სწორედ მის ძირითად ფუნქციას შეადგენდა იბერიის შეკავ-
ება. თუ საომარი მანქანები იბერიის მხრიდან მოსალოდნელი თავ-
დასხმის მოსაგერიებლად იყო გათვალისწინებული, მაშინ ეს მანქ-
ანები პირველ რიგში აფხაზოსში უნდა ყოფილიყო დადგმული.
თუმცა, აფხაზოსის გარნიზონი შეიარაღებული არ ყოფილა საბრ-
ძოლო მანქანებით. აქედან გამომდინარე, ჩენი აზრით, არიანებს
მითითება ფასისის ციხის რომაული საომარი მანქანებით აღჭურ-
ვის შესახებ, იმის მიმანიშნებელია, რომ ფასისის კასტელუმს საფ-
როთხე ელოდა არა იბერიის, არამედ სხვა მხრიდან. როგორც ჩანს,
ეს საფრთხე უფრო რეალური იყო და მიგვაჩნია, რომ იგი ძირით-
ადად ადგილობრივი ტომების აქტიურობით უნდა ყოფილიყო გან-
პირობებული. არიანებენ და „ბარბაროსების“ ადგილობრივ მცხოვ-
რებლებად მიიჩნევენ მ. ინაძე და მ. მაქსიმოვაც (М. П. Инадзе. К ис-
тории Грузии античного периода..., გვ. 14-15; М. И. Максимова.
Античные города..., გვ. 406).


რომაელთა პოზიციები რეგიონში ბევრად უფრო მყარი იყო, რე I ს. ბოლოს, აქ მაინც არსებობდნენ ძალები, რომლებიც უწინეთებას აღმდევობას უწევდნენ რომის სამხედრო აღმინისტრაციას და მათ მიერ დანიშნულ აღვიღობრივ „შეფეს“.

საფურადღებოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, II ს. დასაწყისში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნილ მდგომარეობას რომაელთა მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მიიჩნევს. მკვლევართა ნაწილის აზრით, „ქვეყნის (ივულისხმება კოლხეთი – ქ.ფ.) დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი რომაელთა მოქნილი პოლიტიკის შედეგად, არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა“.¹

ჩენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ქვეყნის „ზოგიერთ რეგიონში“, ე.ი. კოლხეთის შიდა რაიონებში არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ ამას რომაელთა „მოქნილი პოლიტიკის“ შედეგად ვერ მივიჩნევთ. რომაელებს კოლხეთში არასტაბილური მდგომარეობის შექმნისათვის რატომ უნდა შეეწყოთ ხელი, როცა კოლხეთი ჩართული იყო პროვინციულ სისტემაში და რომაული აღმინისტრაციისათვის უფრო ხელსაყრელი იყო აღვილობრივი მოსახლეობის სიმშვიდე? მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რომაელებმა ვერ შეძლეს არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და კოლხეთში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობა სწორედ მათი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების შერყევის შედეგია.

ამრიგად, I ს. 60-იანი წლების დასაწყისიდან, კოლხეთის პროვინციულ სისტემაში ჩართვის შემდეგ, რომაელთა ხელისუფლება ვერ ახერხდას რეგიონში პოზიციების შენარჩუნებას, ძლიერდება კოლხეთის ცალკეულ ტომთა ანტირომაული განწყობა

¹ გ. გამყრელიძე. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, გვ. 82; გ. გამყრელიძე. კოლხოლოგიური ნარკვევები, გვ. 69; გ. გამყრელიძე, თ. თოდუა. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, გვ. 44.



და რომაული სამყაროს ეს შორეული, პერიფერიული რაიონი
ცალკეულ „სკეპტიუნიებად“ იშლება. რომი რამდენადმე სხვანიშეს
ქვეყნის ზღვისპირეთში არსებული „სკეპტიუნიების“ მორჩილება-
ში ყოლას, კოლხეთის შიდა რაიონების „სკეპტიუნიები“ კი, სად-
აც ყოველთვის ნაკლები იყო რომის გავლენა და რომლებსაც უფ-
რო ძლიერი ცენტრიდანული პოზიციები ახასიათებდათ, მაღვევი
გამოდიან რომაული აღმინისტრაციის კონტროლიდან. მათ მიერ
კოლხეთის ზღვისპირეთშე ზეწოლის გაძლიერების შედეგად იწ-
ყება ცალკეულ „სკეპტიუნიათა“ შორის გათიშულობა-დაპირისპი-
რება. კოლხეთის აღმინისტრაციულ-ტომობრივი ერთეულების
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, როგორც ჩანს, მათ შორის
დაპირისპირებაში გადაიზარდა, რაც აქ ახალი პოლიტიკური ერ-
თეულების, თანაც ხუთი „სამეფოს“ ჩამოყალიბების პირობებში
სავსებით მოსალოდნელია, ხოლო თუ გავითვალისწინებთ აღმო-
სავლეთ შავიზღვისპირეთის მკვიდრი მოსახლეობის ტომობრივ
სიჭრელეს, მაშინ მათ შორის დაპირისპირება, რომთან კონტრონ-
ტაციის ფონზე, რეგიონში მყარი ცენტრალური ხელისუფლების
არსებობას გამორიცხავს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ცალ-
კეულ „სკეპტიუნიებად“ დაშლილ კოლხეთში ფაქტობრივად ანა-
რქიული სიტუაცია შეიქმნა.

მაგრამ, ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციების
მქონე კოლხეთის განვითარებაში ასეთი უკანდახევა არ შეიძლებ-
ოდა დიდხანს გაგრძელებულიყო და აქ იწყება „ადგილობრივ ძა-
ლთა აღორძინება“,¹ ქვეყნის გაერთიანების ტენდენციების მატა-
რებელი ძალების გააქტიურება, რომლებიც, როგორც ჩანს, ეძიე-
ბდნენ რომის მფარველობა-კუთილგანწყობას. თავის მხრივ, რომ-
ისთვისაც მიუღებელი იყო კოლხეთში შექმნილი არასტაბილური
ვითარება, თავისი კასტელუმების გარშემო მტრულად განწყობი-
ლი „ბარბაროსების“ გარემოცვა. მას პართიის სამეფოსთან გა-
ნუწყვეტელი დაპირისპირების, ჩრდილოელ მომთაბარეთა გააქ-

¹ ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი უკოდალიზაციის გზაზე, გვ. 211.

ტიურების, არმენიაზე კონტროლის ფაქტობრივად დაკარგვისა
 და იბერიის სამეფოს გაძლიერება-გააგრესიულების პირობებშიშეული
 არ შეძლო საფრთხე შეექმნა თავისი პოზიციებისათვის კოლნეტ-
 ში და მოეშალა ერთიანი თავდაცვითი ზონის, მართალია, პერიფე-
 როული, მაგრამ ისეთი დიდი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნუ-
 ლების მქონე პერიმეტრი, როგორიც იყო აღმოსავლეთ შავიზღვი-
 სპირეთი. რომაულ აღმინისტრაციას უნდა დაენახა, რომ შეცდომა
 იყო კოლხეთში „სკატუხიების“ შენარჩუნება და ამ ქვეყნის დამ-
 ორჩილება-გაკონტროლების ახალი გზები უნდა ეძებნა. კოლხეთ-
 ის პროვინციული მმართველობის ქვეშ დატოვება გამორიცხული
 იყო, რამდენადაც კოლხეთში არ არსებობდა მოსახლეობის ელინ-
 იზირებული ფენები, რომლებიც გახლდათ რომაელთა ძლიერ-
 ების მძლავრი საყრდენი აღმოსავლეთში.¹ ჩვენ ზემოთ დაწვრილ-
 ებით შევეხეთ რომის პროვინციული მმართველობის სტრუქტუ-
 რას და აღვნიშნეთ, რომ იმპერიის შემადგენლობაში მყოფ ტერი-
 ტორიებზე ძირითადი აღმინისტრაციული ერთეულები იყო ე.წ.-
 მუნიციპალური თვითმმართველობის მქონე სხვადასხვა კატეგო-
 რიის ქალაქები, მასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო
 მიწებით და ტომთა გაერთიანებები, რომლებსაც შენარჩუნებული
 ჰქონდათ თავიანთი ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი. აღმოსავლ-
 ეთის პროვინციებშიც რომაელთა ძალაუფლების გავრცელების
 ეფექტურ არალს წარმოადგენდა სხვადასხვა კატეგორიის ქალა-
 ქები – რომაული კოლონიები, იტალიური – მუნიციპიუმები, ადგ-
 ილობრივი ბერძნულ-ელინისტური ქალაქები, ხოლო ანტიკური
 სოციალურ-ეკონომიკური წესებისა და კულტურული ტრადიცი-
 ების გავრცელებას აღმოსავლეთის პროვინციებში იმპერია ცდი-
 ლობს არა რომანიზაციის, არამედ ელინიზაციის გზით და სწორ-
 ედ მოსახლეობას ელინიზირებული ფენები გახლდათ რომაელთა
 ძლიერების საყრდენი აღმოსავლეთში. ასეთი ფენები და ელინის-

¹ ქ. ფიფია. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 42; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские.., გვ. 150-151, 296-298.



